



La Géorgie
 Indépendante
 Revue mensuelle
 M A I
 1932—№ 77

მ ა ო ს ო
 1932 წ.
 № 77

დღესასწაული დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს ბ ე ლ ო ტ ო ე უ რ ო პ ა რ ტ ო ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ე დ .

2 6 მ ა ი ს ი

26 მაისი ჩვენი ნაციონალური დღესასწაულია.

26 მაისი ქართველი ერთი ერთსულოვანათ გამოვიდა საკაცობრიო ასპარეზზე და გამოთქვა თავისი ურყევი ნებისყოფა—იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ამ დიდებულმა დღემ აღმართა ნაციონალური დროშა და მის ქვეშ თავი მოუყარა ქართველ ხალხს.

მაშასადამე 26 მაისი არის სიმბოლო არა მარტო ჩვენი დამოუკიდებლობის, არამედ ამასთანავე ჩვენი ერთობის.

დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ ერთობით, ერთთა დგომით, ერთი აზრით და ერთი პოლიტიკით; მასვე აღვადგენთ მხოლოდ ამ გზის გაგრძელებით, **26 მაისის ამ ანდერძის ასრულებით.**

ყველა კულტურულ ერს აქვს შემუშავებული ერთი საერთო სახელმწიფო დოქტრინა, რომელზედაც არის დაყრდნობილი მისი საერთაშორისო დამოკიდებულება და თავის არსებობის დაცვა. ამ დოქტრინის ნიშნობლივი თვისებაა ერის ყველა სასიცოცხლო ძალის ერთ უღელში შებმა. საგარეო საფრთხის წინაშე ერთი ფრონტის შექმნა, კანონიერი ხელისუფლების გარეშემო თავის მოყრა და ნაციონალური დისციპლინის დამყარება.

აი ეს დისციპლინა აკლდა ქართველ საზოგადოებას წარსულში და ეს ღუპავდა თავის დაცვის საქმეს. შინაურ საკითხებით უკმაყოფილო ელემენტები გარბოდნენ უცხო სახელმწიფოს კარზე, აბეზღებდნენ თავის კანონიერს მთავრობას და ამხედრებდნენ მის წინააღმდეგ გარეშე მტერთ. ერთი მთლიანი სახელმწიფო დოქტრინა არ არსებობდა.

26 მაისმა მოგვცა ეს დოქტრინა. უარყო ნებითი და უნებლიეთი დაქსაქსულობა, ჩააჩუმა სპარსული პოლიტიკის მემკვიდრენი—მოსკოვის კარის აგენტები და გააერთიანა ერი.

განმეორდა ძველი ამბავი, ჩაჩუმებული მოღალატენი წელში იმართებიან. უცხო მთავრობისკენ გარბიან და მათი ჯარით დაბრუნებულნი სამშობლოს თავს ესხმიან. 26 მაისი იღუპება, ის მხოლოდ აკრძალულ დროშათ, მისალწვე იდეალათ ხდება. ნაციონალური ფრონტის გარღვევა ღუპავს ნაციას. თავის დაცვა აღარ არის იქ სადაც მეციხოვნე ნებით თუ უნებლიეთ მტერს ესმარება, თავის სარდლობას გადაუდგება.

26 მაისის დროშას ემსახურება მხოლოდ ის ვინც ასრულებს მის ორივე ანდერძს, ვინც რჩება ერთგული დამოუკიდებლობის და ერთობის, ერთი ნაციონალური სახელმწიფო დოქტრინის. ბრძოლა თავისუფლებისათვის შეიძლება მხოლოდ 26 მაისის მეტოდით; მარტო ღმერთო, ღმერთოს ძახილით სამოთხეში ვერაფერს შევა. კეთილ სიტყვას კეთილი საქმე ექირვება.

26 მაისის დროშა შეიცავს ჩვენს ნაციონალურ პროგრამას და ჩვენ ნაციონალურ ტაქტიკას. ეს ორი სახე მისი არსებისა განუყრელია, განუყოფელია, ერთი მთლიანი ქანდაკებაა. მიღება პირველის და უარისყოფა მეორის ფარისევლობაა, მიღება მეორის და უარისყოფა პირველის უგუნურებაა.

26 მაისი ჩვენი დღესასწაულია, დღესასწაული იმათი ვინც მის მცნებას ასრულებს, მის კვალს მისდევს, მის ხაზს აგრძელებს, მის დროშას თავის დროშათ აღიარებს.

ეს დღე მოუწოდებს ყველა ქართველს ჩადგეს ნაციონალური დისციპლინის კალაპოტში; დაივიწყოს თავისი ჯგუფური თუ პირადი მოსახრებანი და დაირჩხმოს ერთათ, მტერთან სამტრით, მოყვარესან სამოყვროთ.

ნ. კლდინია.

ზ ა ი ს ა თ ჩ ვ ე ნ ი

მე-14 წელიწადი ჩვენი დამოუკიდებლობისა მეტად საგულისხმეიერო ხანას ხვდება. საერთაშორისო არე გაყენებულია ისეთი სულისკვეთებით, ისეთი ფსიქოზით, რომ თითქო რაღაც სასწაულის მოლოდინშია ყველა. თუ არა სასწაულს, სხვა რას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელშიდაც იგი მოემწყვდა? ჩვენ არ ვიტყვიტ ვეკონომიურ თუ პოლიტიკურ კრიზისზე—ეს ხომ ყველას ენახედ აკერია—კაცობრიობა განიცდის ერთგვარ სულიერ კრიზისსაც, და ეს მდგომარეობს იმაში, რომ მმართველი წრეები დაიბნენ, არაქათი გამოეცალათ, ან კიდევ გამბედაობა არ შესწევთ მიიღონ. სანამ გვიან არაა, რადიკალური ზომები ქვეყნიერების სახსნელათ.

მაგრამ არიან ისეთი ძალებიც, რომელთაც სულაც არ ეტყობათ დაბნევა, პირიქით—ოცნებობენ საერთაშორისო კატასტროფაზე და თავსაც არ ზოგვენ დააჩქარონ იგი. ვინ არის ეს ძალები, მკითხველმა კარგათ იცის—მოსკოვის ყაჩაღები და მათი ბელადი სტალინი. მათ სიძლიერეზე ლაპარაკიც მეტია, თვითონ კატასტროფის წინა სდგანან. რაც დღეს საბჭოთა ერებს სჭირთ, იმის მეათედიც ხომ საქმარისია, რომ ქვა ქვაზედ არ დარჩეს დანარჩენ ქვეყნიერებაში. აი, რატომ ესწრაფვიან მოსკოვიტები თავის ქირი სხვა ქვეყნებს შეუშხაპუნონ და თავი დააღწიონ სასრჩობელას.

მაოდის, ამ რიგათ, თითქო არმახსა და არიმანთან ქვაქვს საქმე, კეთილის და ბოროტის ღმერთებთან! ერთის მხრით განათლებული ქვეყნიერება, მეორეს მხრით დედა-მიწის მეექვსედი, ნამდვილი ჯოჯოხეთი, უფრო საშინელი, ვინემ წინასწარმეტყველთა ფანტანია გვიჩაბავდა.

და ყველაზე საშინელი ისაა ჩვენთვის, რომ ამ მეექვსედში საქართველოც მოაყილა უღმობელმა ბედმა! ზის ამ ვეება ხომალდში ჩვენი პატარა ერი, ახეთქს მას ხან იქით, ხან აქეთ და ვაი თუ დაძირვის ეამს იიც თან ჩაითრიოს ქვეყსენლში.

პატარა ერის ტრადედია წინეთ და განსაკუთრებით ესლა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ძალუძს მარტო თავი დააღწიოს დიდი ერის უღელს. ის იძულებულია მეტი მოთმინება იქონიოს, გამძლეობა, ძალების დაზოგვა უპირველესი მცნებაა მისთვის. ის პატარაა, მაგრამ მისი ბედი დიდებისგან არის დამოკიდებული.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ უშუალოთ მისი მჩაგვრელი დიდი რუსეთი, უნდა არ უნდა, გადამბეულია სხვა დიდ სახელმწიფოებთან, და ეს კი უშედეგო ვერ დარჩება ჩვენი ერისთვის. მას არ შეუძლია, თქმა არ უნდა, ვაგლენა მოახდინოს საერთაშორისო მოვლენებზე—ამისათვის ერთობ პატარაა—, მაგრამ ეს არ ნიშნავს გულგრილათ შეჰყურებდეს დიდების ურთიერთ მტრობას თუ მეგობარს...

მაშ რა ამოცანა გვიდგას წინ? დარაჯად დგომა, რათა საერთაშორისო ცვალებადებამ არ გაგვრიყოს, ან უკეთ—თავისი ადგილის პოვნა ერთა თუ სახელმწიფოთა ახალ გადაჯგუფებაში. ეს ადვილი საქმე არ არის, რამდენია მაგალითი, პატარა ერის ბედი მის ზურგს უკან გადაეწყვიტოთ!

და რომ ეს არ მოგვივიდეს, საქირთა უწინარეს ყოვლისა, რომ ქართველმა ერმა არ დაჰკარგოს ბრძოლის უნარი, რწმენა, ნებისყოფა, ხოლო მისმა მესვეურებმა—მორსმპყვრეტელობა. სიფხიწლე.

26 მაისის დიადი მნიშვნელობა იმაშია, რომ ამ დღეს ქართველი ერი თვალს ავლებს მის ახლო წარსულს, აწმყოს. მომავალს, უკეთებს ჯამს მის საგმირო საქმეებს და ემზადება სხვა უფრო დიდ საგმირო საქმეებისთვის.

ქართველი ერი მარტო არ არის თავის დამოუკიდებლობის და ხელმწიფების ვლდგენის საქმეში, მას გარს არტყია იმავე ფერხულში ჩაბმული მეზობლები, სხვა ჩაგრული ერები, თვით რუსის მშრომელი მასები, იძულებული გამოვიდეს, ადრე თუ გვიან, მტარვალთა წინაამდეგ.

ვინ არ იცის, საერთაშორისო გართულებათა ერთი უმთავრესი მიზეზი პოლიტიკურს კომინტერნია? ტყუილა არ განაცხადა თემთა პალატაში სერსაიმონმა ჩვენ არ ვარჩევთ კომინტერნს საბჭოთა მთავრობისგან, პირველის მოქმედებაში მეორე არის პასუხისმგებელიო. ასე კითხვის დასმას თავისი ლოლიკა აქვს. შესძლებენ კი მისი ავტორნი სათანადო დასკვნის გაკეთებას, თუ განაგრძობენ ადრინდელ უდარდელობას?

ეს თითქო გამორიცხულია, რატომ? იმიტომ რომ დადვა დრო, როცა თვითეული დიდი სახელმწიფო და ყველანი ერთათ იძულებული არიან გამოარკვიონ თავისი პოზიცია, სთქვან სად ან ვისთან არიან. დრო არ იცდის, მარტო სხენება იმისა, რა ხდება შორეულ აღმოსავლეთში, ცენტრალურ ევროპაში, საკმარისია. ამისათვის. კითხვები უკვე დასმულია ქენევაში, ლონანაში და შანჰაიში... გარდუვალთა პასუხი, პასუხი და კიდევ პასუხი.

მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალები, ვიქცეთ სმენად, შევფიცოთ ერთმანეთს 26 მაისის წმინდა დროშის წინ, რომ უკუვაგდებთ ყოველ შუღლს, წაჯექ უკუჯექობას და აღგზნებულნი ერთის აზრით, ერთის გრძნობით შევუდგებთ ჩვენს დიდ საქმეს.

და... დავბრგვინოთ ერთათ: გაიხსათ ჩვენში! დეე, ეს მარტო სურვილი იყოს, ვინ არ ნატრობს მე-15 ტე 26 მაისის საქართველოში გათენებას? მაგრამ სურვილი, მისწრაფება ხომ ერთ ერთი აუცილებელი პირობაა საქმის დაგვირგვინების!

აღმავალი თემელი მკვლელი

6 მაისს ნაშუადღევს «წიგნის დღეობაზე», გადახდილ ფრანგ მწერალთა მიერ, სასიკვდილოთ დაქორილ იქნა და მეორე დღეს გარდაიცვალა საფრანგეთის პრეზიდენტი პოლ დუმერი. ეს საშინელი და ყოვლად უგუნური მკვლელობა მეხვიით გავარდა და აუწერელი აღშფოთება გამოიწვია როგორც აქ, ისე მთელ მსოფლიოში.

საფრანგეთის პრეზიდენტი, კონსტიტუციის ძალით, არ არის პასუხისმგებელი ხელისუფლების მოქმედებაში, არის ქვეყნის უზენაესი წარმომადგენელი და მხოლოდ ხელს აწერს პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის აქტებს. მით უფრო საძაველ და მიუტყვებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ეს სივერავე ყველას მიერ ღრმით პატივცემულ 75 წლის პრეზიდენტ პოლ დუმერის მიმართ.

უკანასკნელი, სხვათა შორის, რუსის ხალხის საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა, და კიდევ რამდენსამე დღით სიკვდილის წინ, ის უთვალუფრებდა მის საკუთარ «ჩემი ბავშვების წიგნის» რუსულათ გამოცემას. დუმერმა, როგორც ვიცით, ოთხი ვაჟი დაჰყარა დიდ ომში, და აი ვის უძღვნა მან თავისი წიგნი.

ამიტომ სრულიად გამორიცხული უნდა ყოფილიყო დუმერის განგმირვა რუსის ტყვიით, მაგრამ სწორეთ ეს მოხდა! რუსის ემიგრაცია დიდ საგონებელში ჩავარდა ამის გამო. მათი რიცხვი 200 ათას უღრის საფრანგეთში, როგორის თვალთ უნდა შეეხებათ მასპინძელ ფრანგებისთვის. რა ეთქვამთ?


მაგრამ ეხლა უკვე ყველასათვის ცხადია, რომ მკვლელ გორგულოვის ხელს მოსკოვის გეპეუ ამოძრავებდა! პირველი მისი განცხადება, რომ ის სასტიკი ანტიბოლშევიკია, თეთრი რუსი, ნათელს ჰდენს მომზაუნთა განზრახვას: გამოეწვიათ გულისწყრომა რუსის პოლიტიკურ ემიგრაციის მიმართ. ვინ არ იცის, ვგრედ წოდებულ თავდაუსხმელობის პაქტი ჯერ კიდევ წესრიგშია და ელის საბოლოო გადაწყვეტილებას. სწორეთ ამ პაქტში ნაგულისხმევია რუს ემიგრანტების პოლიტიკურ ორგანიზაციების დაშლა, განდევნა, — მამ საპირო იყო ისეთი თავზარდამცემი ფაქტი, რომელიც შეარყევდა ფრანგთა საზოგადო აზრს, და ისიც გახურობულ არჩვენების დროს.

გამოძიება სწარმოებს. რაც აქამდე გამოქვანდა, ცხად ჰყოფს, რომ გორგულოვი კომუნისტი ყოფილა, უმსახურნია მტარვალებისთვის, უმოგზაურნია საბჭოთა კავშირში და ბევრი სხვა. რა თქმა უნდა, გეპეუ ზედმიწევნით დახელოვნებულია გასვრილ საქმეებში, იქნება შესძლოს კვალის წაშლა; მაგალითი თვალწინაა: კუტეპოვის გატაცება. მაგრამ ვგზომ ვერ გადააჯერებს საზოგადო აზრს!

საინტერესო კიდევ ისაა, რომ გორგულოვი ცნობილ «ეკს» კამოს ბაძავს, თავი შეშლილად უნდა მოაჩვენოს მართლმსაჯულებას. ცხადია, მკვლელობა ჩადენილია არა მართო გეპეუს აგენტის მიერ, არა-

მედ ის წინასწარ «ჩაწყობილია» თვით ამ საზიხლარ ორგანოს შეფის სტალინის მიერ. ვინ არ იცის, რომ კამო კობას აფსონი იყო!

ამ რიგათ, ჩადენილ იქნა აღმაშფოთებელი აქტი, რომლის მსხვერპლი საფრანგეთის პირველი მოქალაქე გახდა. პოლ დუმერი თანაგრძობით ეკიდებოდა საქართველოს მწარე ბედს, მას ეს არა ერთხელ უგრძობინებია ჩვენი ელჩისთვის. ჩვენი რედაქცია უღრმეს მწუხარებას და თანაგრძობას გამოსთქვამს გმირთა დედის—მგლოვიარე ქვრივის, და რაინდ ფრანგ ერის მიმართ.



ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ, საქართველოს ელჩმა და ქართველ კოლონიის თავმჯდომარემ ბ. გ. ყურულმა მხურვალე თანაგრძობის დეპეშები გაუგზავნეს პრემიერ-მინისტრს ტარდიეს, რომლისგან ელჩმა სამადლობელო დეპეშა მიიღო.

«პრომეთეის» რედაქტორმა და ქართველ მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ ბ. გ. გვანავამ მზგავსი დეპეშით მიმართა პარიზის პრესის სინდიკატს.

ამის გარდა, დასახელებულნი პირნი და ბევრი სხვა ქართველი იყვნენ ელისეს სასახლეში და ხელი მოაწერეს სამგლოვიარო ფურცლებს.

კუბოს ამ შევენებდა დიდი გვირგვინი დიპლომატიურ კორპუსისაგან, რომლის წევრი ჩვენი ელჩიც არის.

მ ა რ თ ვ ე ლ თ ა ლ ლ ე

სხეულებრივად დაუძლეურებული და გაძარცული, ხოლო სულით ძლიერი და შენახული. აღმდლებულ მისწრაფებით კვლავ ასულდგმულებული. უტყუარი ნებით თვისი სახისა დამცველი, თვისებათა აღმსარებელი. შემოსეულთა წინააღმდეგ მტკიცე ერთობით ამოქმედებული. საგანთა და მოვლენათა ბეჯითად შემსწავლელი და განზომილად დამფასებელი. მტრის ნავარდობის მიწურვით იმედაღრუელი. შვიბის მომავლის მოახლოვებით გულატრეუბული...

ასეთია დღესაც საქართველო შინაცა და გარეთაც! უსხვავარ დროთაგან ბრძოლებში გამოკაცებულს, მას არც ამჟამინდელი დარბევა სტეხს წელში.

ქვეშარტად განსაცვიფრებელია მისი გამძლეობა, ის გამოულოველი უნარი, რომლის მეოხებით ერთიმუჭა ხალხი საუკუნოების სტადიონზე მამაცად იგერიებდა უამრავ მტრებს და ეს უნარი სარჩოსამკვიდრებელის დაცვისა, ერის წმიდათაწმიდის გადაარჩენისა სწორეთ რომ ფოლადის სიმტკიცით იმოსებოდა ყოველთვის, როცა—მატიანეს თქმისამებრ— აღიძვრდეს ყოველნი ნათესავნი ოხრებად ქართველთა.

ვის ძალოუს აღნუსხოს აკლება და აწიოკება, რაცა ჩვენს ქვეყანას დაატყდა მოსკოვის დამქაშებისაგან? რომელ არითმეტიკით მივუდგეთ იმ ხარალს, ერის საუფჯე რომ გააცამტვერა და მკვიდრნი მშვირწყურვალ ბოგანობათ აქცია? სად არის საზომი განუკითხავი რბევისა, დოვლათის განანავებისა? ვინ დაითვლის საქართველოს სამსხვერპლოზე შეწირულთა სამარეებს? რომელი მდინარე დაიტევს გულამოძჯდარ «ქართლის დედის» ცრემლებს?

მიძიე ლოდს მოავარებს მაჯლაჯუნა. ცას გვიბნელებს. პაერს გვიხუთავს. «დამდვეს მე მღვიმესა ქვესკენლსა, ბნელთა შინა, და აჩრდილთა სიკვდილისათა...»

გმინვა და ძრწოლა მიუხდა უთვალავ მტრისმიერ რკალშემორტყმულ სამშობლოს! შეელია ეს გამწარებული ხალხი გაცოფებულ სისხლისმსმელებს! იბრძვისკი კერპად აგერ უკვე თორმეტი წელიწადია: რაზომი უნდა იყოს ზიზლი ერის უფლების შემემუსვრელებისადმი?!

ეპოსში დასახატია ეს იშვიათი სურათი. ბევრი ხომ არც გამოინახება ისტორიულ სინამდვილეში ასეთი მართლაც რომ გასაოცებელი მაგალითი, რომ შეუსვენებელ, ულევ ომთა მოხდილი რიცხვით მცირე ერი, რომელსაც თითო მტკაველი მშობელი მიწისა საკუთარი სისხლით გაუკვლევთია, არამც თუ არ მოხრბილიყო და არც სასოფარკეთილებას მისცემოდა, არამედ ყოველ მორგ შემთხვევაში უფრო მეტის მოწადინებითა და გაბედულებით ხელთილო თავისი ქვეყნის პატივის დაცვა.

ამჟამინდელი ვითარება ხომ მითითურ თქმულეობათ ეთანაბრება! გულმკერდ დასერილ თეთრ გიორგის აშიშვლებული მხვილი მაინც მარჯვეთ უპყრია კურთხეულ მარჯვენაში! რაინდის თვითეული დარ-

ტყმა კალიასებრ მოწოლილ მტერს არეტიანებს, ხოლო კიდითიდედმდე კვლავ ჰვენს ქართველობის სახელსა და თავგანწირვას. განგებამ ინება, რომ ამ საშინელ სისხლიან ხანის გამომისობით ხელახლად გასხვიოსნებულიყო ივერიელთა სამყოფელი:

«სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა».

იმ ჟამიდან, როცა საქართველოს ზურმუხტოვან ცაზე აღიბეჭდა 26 მაისი, მებრძოლ ერს ველარავინ გამოაგდებინებს ხელიდან აღმართულ ბაირალს. აღვილი სათქმელია იმ დროშის დახრა, რომელზედაც «26 მაისის» მოსაქარავავთ თვითეული ქართველის მიერ მოწიწებით მიტანილი არის გულიდან აღმოხეტილი სისხლი?!

ასეთი დროშა ამჟამად იქნება ზეატყორცნილი, რაგინდ მრავალიც უნდა იყოს მის დასაფხრწად გამოშვერილი ხელი.

26 მაისის დროშაზე შეფიცულია საქართველო ერთბაშად, ამიტომ მისი ქვედანთხევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით ქართველთა სახელი აღმოიშლება საკაცობრიო სიიდან.

დაუნდობელი მტერი ამის შესრულებას ლამობს... ბრყივია: მას არ გაეგება, რომ უკვე «ქაჯეთს მოიწია უსახომო რისხვა ღვთისა».

რ. ინვილი.

უ ე ნ ე ვ ა შ ი

მე მოვხვდი ეხლახან ქენევაში. დავალბებული მქონდა, საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების სახელით შემეტანა განიარაღების საერთაშორისო ყრილობაში საქართველოს მოთხოვნილება.

მატარებელი დაიძრა პარიზის სადგურიდან. მისი რითმული ხმაურება ჰდენის თავიდან ყოველდღიურად შემოჩვეულ ფიქრებს; ახრი ჰშორდება რეალობას; სულიერი განცდა ისეთია, თითქო მატარებელი ამ საშინელი სისწრაფით მიფრინავს რაღაც დაუსრულებელ აღმართზე, მიდის სულ მაღლა, მაღლა, რომ გააპოს ბურუსი მიწიერი ცხოვრების და მიაღწიოს იმ მწვერვალს, სადაც იკრებება ნათელი მაღალი გონების და სცემს შექებრივი ტალღა კეთილშობილური მისწრაფებისა. ქენევა... განიარაღება...

პრობლემა, რომელიც ჰდვას, მართლა დიადია. მის გადაწყვეტაში ღებულობს მონაწილეობას ორმოცდა ჩვიდმეტი სახელმწიფო, ე. ი. მთელი ჩვენი პლანეტა, მთელი კაცობრიობა. ყველას აქვს ერთი სურვილი: მოისპოს ომი და სისხლის ღვრა. მაგრამ ყველა შვილია თავის ქვეყნის და ყველას გულში ალად უტრიალებს სასიცოცხლო ინტერესი თავისი ერის, თავისი სამშობლოსი. აქედან—ის მრავალი წინააღმდეგობა, რომელიც იკვანძება ქენევაში.

ამ წინააღმდეგობაში აღსანიშნავია ორი ძირითადი მიმართულება.

ერთი ამბობს: დაეყაროთ ყველამ იარაღი და მშვიდობიანობა დამყარდება თავის თავად.

მეორე ამბობს: მომეცი. ბატონო, იმისი გარანტია, რომ ხვალ არავინ დამეცემა, და მე დღესვე დავეყრი ყოველ იარაღსო.



ამ უკანასკნელ აზრს ავითარებს პოლ-ბონკური. იგი დგას ტრიბუნაზე; მისი თითები ისე მუქვერმეტყველია, როგორც მისი ენა. უშველებელი მუშაბანდიდან, რომელსაც უჭირავს დარბაზის მთელი წინა კედელი და გადაკურებს ყენევის ტბას, იჭრება ბლომად მზის ნათელი და ფიქნება ორატორის ქალარა თმას. მან გაიტაცა ყველა მსმენელი. ჰენდერსონი წელა ათამაშებს თვალთან მოხსნილ სათვალევებს; მის გვერდით პოლიტისს გულზე ხელი დაუკრეფია და ყურს უგდებს; ჩემგან ორი-სამი საყენის მანძილზე ხენენის ლიტვინოვი; ტიტულესკო რადაცას სწერს... უშველებელი ამფიტეატრი გაუქვილია ხალხით: აქაზის და თვალყურს ადევნებს სამასი კორესპოდენტი ყოველი ქვეყნის ყურნალ-გაზეთებისა. ამ სალამოს ალაპარაკდება ჯადოხსნური რადიო. პატარ-პატარა აზრები, როგორც ცოცხალი არსება, დაიწყებენ ჰაერში ფრენას. გადაეცემა ევროპას, ამერიკას, ავსტრალიას... მოეფინება ყველგან ცნობა იმისი, თუ რა მოხდა ამ დღეს იმ მწვერვალზე, სადაც შეკრებილია მოწინავე გონება და მაღალი მისწრაფება.

ეს გონება მიჯაჭულია მიწაზე, როგორც ამირანი კავკასიის მთებზე. მან უნდა დასწყვიტოს ეს ჯაჭვი, ჯაჭვი შუროს, მტრობის, ძალმომრეობის... მაშინ—ოკეანითვე, ეს საოცნებო ქალწულები ზღვათა დემრთისა, თავს წამოაპყვინდნენ არა მარტო ყენევის ტბაში, არამედ შავი ზღვის ლაქვარდ ტალღებში, რომ გალობით მიეგებონ განთავისუფლებულ საქართველოს.

ვიდრე გვახსავა.

მ მ მ რ ა ნ დ უ მ ი

განიაარალების კონფერენციის თავმჯდომარეს.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელმა გ. გვახავამ შემდეგი მემორანდუმი გადასცა ყენევის განიარალების კონფერენციის თავმჯდომარეს ჰენდერსონს:

საქართველოს ბედი, რომელსაც შემოესია და დაიკავა საბჭოთა რუსეთმა, მუიდროდ შეკავშირებულია განიარალების კონფერენციის წინაშე დაყენებულ პრობლემასთან. ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა კავშირის თავის მოვალეობად მიიჩნია მაღალი ყრილობის ყურადღება მიაკციოს ქვემოთ პოლიტიკურ და ეკონომიური ხასიათის გარემოებებს, რომელთა ცოდნას მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობისა და საერთაშორისო სამართლიანობის ინტერესებისათვის.

1. რუსეთი სახელმწიფო არაა. ესა ტერიტორია იმდენივე ერთი, რამდენიც ევროპაშია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ არ იქნება მშვიდობიანობა, ვიდრე ეს ერთი იქნებინა მოსკოვის დიქტატურის ქვეშ. რუსეთის გაფართოვება, რომელიც თავში მოსკოვის სამთავრო იყო და რომელმაც მოკლე დროში მშვიდობიან ოკეანეს მიახწია და დარდნენს და სპარსეთის ყურეს დაემუქრა.—შესაძლებელი იყო იმ დროს, როცა ერთი განცალკევებულნი ცხოვრობდნენ და უფრო ძლიერის უფლება ბატონობდა.

ეს დრო წავიდა. დღეს რუსეთის ტერიტორიალური სიფართოვე, რომელიც შეიცავს დედამიწის მეექვსედს და ამდენსავე სხვადასხვა ერს, ანომალიობას წარმოადგენს, ავადმყოფურ სახელმწიფოებრივ ფორმაციას, რომელიც მძიმედ აწვება ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ წონასწორობას და აბრკოლებს მის ნორმალურ გაფართოებას.

კავკასიის განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ სახელმწიფოებრივ ფორმაციაში. კავკასიის ერები ყოველთვის თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იყვნენ. რუსეთს მთელი საუკუნის სამხედრო მოქმედება დასჭირდა, დიპლომატიური სიფლიდე, საქვეყნოდ დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევა, რომ გაეტეხა მათი წინააღმდეგობა და თავზე მოეხვია მათთვის თავისი ბატონობა. ბუნებრივია, რომ დიდი ომის დროს კავკასია რუსეთს ჩამომორდა. როგორც ოსმალეთის და ავსტრო-უნგრეთის დამორჩილებული ერები, კავკასიის ერებმაც აღადგინეს თავიანთი დამოუკიდებლობა და დაადგნენ ევროპიულ დემოკრატიის გზას.

ასეთ პირობებში შესაძლებელია განა ხელგუნურად საზღვრის დადება ევროპის ესლახან განთავისუფლებულ ერებსა და იმ ერებს შორის, რომლებიც ხელახლა დაიმონავე საბჭოთა ძალმომრეობამ? არა, ეს იქნებოდა სამიწიერი უსამართლობა. საშუალო საუკუნოების დაბრუნება და მასთან ერთად მუდმივი მუქარა მშვიდობიანობისა და ცივილიზაციისათვის.

ეროვნულ თავისუფლების იდეამ, ვით ახალმანეტუნმა, ოკეანეს აბობოქრებულ ტალღებსავით აამოძრავა მთელი აზიის ერები. ის თავს დასტრიალებს მთელს კავკასიას. თუმცა მიტოვებულნი და მიიწყებულნი არიან კავკასიის ერები, ისინი მინც განაგრძობენ მედგარ ბრძოლას მოსკოველ მოძალადეთა წინააღმდეგ.

მაგრამ მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელს არ რცხვენია წინააღმდეგი ილაპარაკოს. «თავის არსებობის პირველ დღიდანვე, განაცხადა მან: საბჭოთა მთავრობამ დაჰგმო ომი, როგორც იარაღი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, არა მხოლოდ სიტყვით. არამედ საქმითაც. მან გაილაშქრა ტერიტორიალურ ანექსიების და ერთი ერის მეორეს დაჩაგვრის წინააღმდეგ. იგი არასოდეს ხედავდა და არც დღეს ხედავს საპრობლემას, ჰყავდეს რაიმე შეიარაღებული ძალა».

ასე გამოდის, მოსკოვის დელეგატის სიტყვით, რომ დადებულ ხელშეკრულების დარღვევა, შესევა საქართველოში და მისი დაკავება წითელი ჯარით, არ იყო აგრესიული მოქმედება, არც აზერბეიჯანის დაპყრობა იყო რეიტორიალური ანექსია და არც ჩრდილო კავკასიის დამორჩილება იყო ერთი ერის დაჩაგვრა მეორეს მიერ.

ხმა კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებისა, რომელიც ყოველ დღე გვწვდება, ნამდვილი უარყოფაა ამ ცრუ მტკიცებისა. თუ მოსკოვის მთავრობას საპროტ არ მიიჩნია შეიარაღებული ძალის ყოლა, ადვილია დაამტკიცოს ეს არა «სიტყვით, არამედ მოქმედებით» და გაიყვანოს თავისი ჯარი კავკასიიდან, რომელიც მან დაიკავა წინააღმდეგ ყოველი უფლები-

სა, და ამით აღადგინოს ერთა სუვერენობა, რომელთა დამოუკიდებლობა, ყველასაგან ცნობილი, მან დაამბო.

2. მაგრამ საკითხი მართო საბჭოთა ძალმომრეობის მსხვერპლ—ერების მოთხოვნილებას არ შეეხება. მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის საკითხი დგას ჩვენს წინაშე.

არავისთვისაა დაფარული მოსკოვის მთავრობის უმთავრესი მიზანი. რუსეთის იმპერიის დაპყრობა ბოლშევიკების მიერ ერთი ეტაპი იყო ბოლშევიზმის გზაზე და ესლა მისი ხელმძღვანელი ამზადებენ გადაწყვეტ დაკვრას მთელი ქვეყნის დასაპყრობად. ამის მეოთხე და საშუალებები დიდხანია შემუშავებული და დადგენილი აქვთ. ეს შეიცავს: 1) მოწყობილ პროპაგანდას, რომელსაც ფულს აძლევს და წინამძღოლობს კომინტერნი და რომლის განყოფილებანი ფართო ქსელით ჰფარავს მთელს დედამიწას. იგი ებრძვის სახელმწიფოს წყობილებას, ჰქადაგებს ჯარში წინააღმდეგობას, ქარხნებში გაფიცვებს, არეულობას კოლონიებში და ამრიგად არღვევენ ევროპის ეროვნულ და სოციალურ საფუძვლებს. 2) სთუთლიან გეგმას, რომლის დანიშნულებაა ინდუსტრიის და სასოფლო მეურნეობის ვარდაქმნა საერთაშორისო კონფლიქტის თვალსაზრისით და ყველა საწარმოვო ძალების შეფარდება საომარ დროისთვის. 3) შეიარაღებულ ძალას, ფრიად რიცხოვანს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბოლოო გამარჯვება. რუსეთი ამ ეტაპად ყველაზე უფრო შეიარაღებული სახელმწიფოა. მას ჰყავს 800.000 რევოლუციური ჯარი და მისი რეზერვები ალბად აღემატება 10 მილ. ადამიანს. ყველა ეს ძალა გამოწყობილია ყოველი იარაღით და სურსათით და მისი მობილიზაცია შეიძლება ყოველწუთს. ნურავინ მოიტყუებს თავს იმით, რომ ამ ჯარს სათანადო სამხედრო გაწრთვება აქვია. ატილას ურდოებს უკეთესი გაწრთვება არ ჰქონდათ. 4) ფინანსურ სახსრებს, რომელთა შირის კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს (ნავთს, მარგანცს, ბამბას და სხ.) პირველხარისხიანი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა აგრესიული პოლიტიკის მთელი მატერიალური ბაზა იმყოფება კავკასიაში.

3. ყოველივე ზემონათქმიდან თავისთავად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ნამდვილი განიარაღება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია საბჭოთა იმპერიისათვის. ლიტვინოვის დემაგოგია ვერაფერს შესცვლის. მოსკოვის მთავრობა იძულებულია დიდ ძალი ჯარი ჰყავდეს, რადგან თვით ჩაიყენა თავი გამოულ მდგომარეობაში: განიარაღდება თუ არა, მისი დამონებული ერები მყისვე დამოკიდებულნი გახდებიან. ამიტომ განიარაღება მიუღებელია საბჭოებისათვის და იგი განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლებულ იქნებიან დაჩაგრული ერები და კერძოდ კავკასიის ერები.

კავკასიის ერები შეკავშირებულნი არიან. მათი ერთობა გამოქედა ბრძოლის ველში. იგი მიმართულია კავკასიის კონფედერაციის შესაქმნელად. საჭიროა საზოგადოებრივმა აზრმა იცოდეს ეს, განი-

სუვალს ამით, საჭიროა იცოდეს, თუ რა ხდება კავკასიის უღელტეხილზე, ორი კონტინენტის ჯვარედინზე, რომელიც ბრძანებლობს აღმოსავლეთ ევროპის და შეიძლება მთელი აზიის მომავლს.

ბატონო თავმჯდომარე, მაქვს პატივი გთხოვთ, რათა აუწყოთ ყოველივე ზემო მოხსენებული მალა ყრილობას, რომელსაც თქვენ თავმჯდომარეობთ, და მიიღოთ ჩემი უდიდესი პატივისცემის გრძობები.

საქართველო განიარაღების კონფერენციაზე

განიარაღების კონფერენცია უდიდესი საერთაშორისო ყრილობაა, რომელიც ოდესმე ისტორიას სმენია. აქ წარმოდგენილია არა მართო ერთა ლიგის წევრები სახელმწიფოებები, რომელთა ყრილობაც თავისი სიმრავლით ისტორიისათვის არაჩვეულებრივია და ახალ ხანას მოასწავებს, არამედ ყველა დედამიწაზე არსებული სახელმწიფოებები. ეს არის უნივერსალური ყრილობა. ამ უდიდეს ყრილობას ერთად ერთი უდიდესი პრობლემის გადაჭრა ევალება: განიარაღება. მას მეთაურობენ დიდი სახელმწიფოები, პატარების წარმომადგენლების ხმა თითქოს არც ისმის. და თუ ხანდისხან ვინმე ჩაერევა, მას ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ და გამოძახილიც არავითარი აქვს.

საქართველო ხომ პატარა, რუსეთის იმპერიულიზმისაგან დაპყრობილი ქვეყანაა. განიარაღების მხრით ის კონფერენციას სრულიდით არ აინტერესებს. ის მონაწილეც არაა. მიუხედავად ამისა ამ უკანასკნელ ხანებში ევროპის პრესა, რომელმაც საქართველოს მდგომარეობა კარგად იცის, კომენტარიებს საქართველოს მთავრობის დელეგატ ხ. შავიშვილის მემორანდუმის შესახებ ხშირათ შემდეგი საინტერესო სათაურით ათავსებს: «საქართველო განიარაღების კონფერენციაზე». ეს სათაური თავისთავად ახასიათებს იმ გამოძახილს, რომელიც ხსენებულმა მემორანდუმმა ჰკონა ევროპის საზოგადოების ფართო წრეებში, განსაკუთრებით კი თვით ინტერნაციონალურ ცენტრში, ყენევაში. ეს ამტკიცებს იმას, რომ თუ საქართველო ფორმალურათ კონფერენციაზე დაშვებული არაა, ის მიღებულია მორალურათ და მას ფაქტიურათიანგარიშს უწევენ.

ზოგმა გახეტებმა ასეთი სათაურები გაუკეთეს იმავე მემორანდუმზე შენიშვნებს: «ლიტვინოვმა მიიღო სასტიკი გაკვეთილი», «სმბჭოთა ორპირობა», «რატომ არ უნდა ვნდოთ საბჭოთა მთავრობასო» და სხ. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის სოციალისტური პარტიის გახეტ «სანტინელმა» მემორანდუმის უმთავრესი ადგილები მოწინავეთ გამოაქვეყნა სათაურით: «საქართველო ყენევაში». ეს გახეთი კი საერთო განიარაღების უკიდურესი მომხრეა. მისმა დირექტორმა, შვეიცარიის პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე გრაბერმა საეციალური სტატიაც დასწერა, ის საქართველოს საკიდეს «რუსეთის პრობლემის ნეგრალოგიურ წერტილს» უწოდებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ საკითხს თვით კომუნისტებიც

მეუწუხებია, რასაკვირვლია. თავისებურათ. მათ საქართველოს სახელის გაგონებაც აწინებს: «მომაბეზრებელი საკითხია. ნუ დავსვამთო». ევედრებოდა კრებას შო-დე-ფონში ციურისის კომუნისტების ბელადი ბრიუკმანი.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ოფიციალურ და არაოფიციალურ საერთაშორისო წრეებში ისეთ ინტერნაციონალურ გავლენიან ზაზე-თში დაბეჭდილ წერილმა, როგორც «ყურნალ დე ენევი»-ია, რომელსაც ერთა ლიგის ოფიციალსაც კი

ეძახიან. ეს ყურადღება მით უფრო დიდი იყო, რომ მოწინავე წერილის ავტორი თვით ამ ყურნალის დირექტორი, კანტონალურ (ენევივაში) პარლამენტის თავმჯდომარე, ედუარდ შაპიუხაა. მაგრამ გარდა ხსენებულ გაზეთის პრესტიჟისა და შაპიუხას სახელისა, რომელსაც დელეგატები კარგად იცნობენ და პირადი პატივისცემით ეპყრობიან, თვით სტატიაც კარგად დაწერილია და წარმოადგენს საუკეთესო კომენტარიებს საქართველოს ეროვნულ მთავრობის დელეგატის მემორანდუმისას.

ბოლშევიკური სკოლა და კულტურული საქმიანობა

(წერილი საქართველოდან)

2. სოფლის ახალგაზრდობის სკოლები (და საფ.-საქ. შვიდწლეულები).

ოთწლეულების შემდეგ საფეხურს წარმოადგენს სოფლად გლახთა ახალგაზრდობის სკოლები. ხოლო ქალაქად საფაბრიკო-საქარხნო 7 წლეულები. ამ სკოლების რიცხვი მცირეა და მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. საერთოდ ამ ტიპის სკოლაში თავს იყრიან იმ ასაკის ბავშვები, რომელ ასაკშიაც მუშავდება ადამიანის გრძობები, ნებისყოფა და მთელი სულიერი ცხოვრება. ეს სკოლა აგებებს ბავშვს ახალგაზრდულ ასაკთან და ამუშავებს ადამიანს დადებითად ან უარყოფითად. კარგად იციან ეს ბოლშევიკებმაც და 4 წლეულებში დაწყებულ საქმეს აკარგებდნენ. იქ ბავშვთა დასამორჩილებლად იყენებდნენ პიონერთა ან ოქტომბრელთა ორგანიზაციას. აქ კი აგებენ ახალ მახეს და ახვევენ შიგ ძიების პროცესში მყოფ ბავშვს. ეს მახეა—კომკავშირი, რომელიც წარმოადგენს ბოლშევიკებისაქენ მიმავალ კიბის საფეხურს. უნდა თუ არა, მინც უნდა გახდეს ბავში ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი. საერთოდ ახალგაზრდობის ორგანიზაცია აღმზღელობითი ორგანიზაცია უნდა იყოს, აქ კი საქმე გვაქვს წინდა პოლიტიკური ორგანიზაციასთან. ხდება დახურული კრებები, ირჩევა ისეთი საკითხები, რომელიც უპარტიო მასაში არ გაიტანება. მაგალითად სკოლიდან მოხსნა ბავშვის პოლიტიკური მიზნებით, ვინმეს ხმის ჩამორთმევა, სხვადასხვა პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობის მიღება და სხვა. არავითარი აღმზრდელობა არ სწარმოებს აქ. ნერგავენ ბავშვში ფარისევლობას და გამცემლობას, იფერფლევა მისი სათუთი გრძობები ავტორიტეტის ძიებაში. ერთი სიტყვით ხელისუფლება კომკავშირის ორგანიზაციას აკეთებინებს იმას, რის გაკეთებას ვერ შესძლებს უპარტიო მასწავლებელი. უპარტიო, არ კომკავშირული ბავშვისათვის ყველაფერი დაკეტილია, იგი ვარიყულია ყველაფრიდან და უყურადღებოდაა მიტოვებული. როცა იგი მიდის სკოლაში შესასვლელად, გამგე პირველად იმას ეკითხება: კომკავშირული ხარ? ამ კითხვების პასუხის დროს ბავში ხშირად კარგავს სკოლაში შესვლის შესაძლებლობას და უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება.

მეორე საფეხურის სკოლის მიხანია მოუმზადეს

სოფლის მეურნეობას კოლმეურნეები (ამ მიზნით სოფლის ახალგაზრდობის სკოლები გადაკეთდა საკოლმეურნეო სკოლებად) და ქარხანა-ფაბრიკებს მისცეს მუშა ხელი, ამ მიზანს ემსახურება სკოლა პირდაპირ. პროგრამებში მცირდება თეორიული მასალა ე. წ. საწარმოო პრაქტიკის ხარჯზე.

სოფ. ახ. სკოლებს აქვთ ზამოდენიმე ჰექტარზე დათესილი რაიმე კულტურა, რომლის მოვლას უნდება სკოლა და აკადემიური მხარე მივიწყებულია. სრულიად დამახინჯებულია შრომის პრინციპის შეტანა სკოლაში. შრომა გამოყენებულია არა როგორც მეთოდი, არამედ როგორც მოსავლის მოყვანის საშვალეობა. ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ქალაქში: საქ. საფ. სკოლის ბავშვები ყოველ დღე მუშაობენ ფიზიკურად რომელსამე ქარხანაში, მასწავლებელი ფორმალურად ვერ ახერხებს პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილის დაძლევას. ყველაზე სავალალო ის არის, რომ საქმე გვაქვს არა წესიერ შრომასთან—სიმუღიანტობა, ვანგებ ცუდად მუშაობა, ბუნდუნი და გაუწყვეტელი ჩივილი, აი რა იშლება თქვენს წინაშე. შრომის საათები საქ.-საფ. სკოლებში ტარდება სრულიად მოუწყობელ სახელოსნოებში, სადაც უმნიშვნელო იარაღებიც კი არა აქვთ.

ბოლშევიკების დევიზია: «ყველაფერი შევწირთ ძალაუფლების შენარჩუნებას». და აი ახალგაზრდობის მომავალსაც დიდი სიამოვნებით გაიღებენ მსხვერპლად, სტალინის დიქტატურის სადღეგრძელოდ. ამით აიხსნება ის, რომ ახალ თაობას კი არ ასწავლიან, არამედ ამუშავებენ. კოლექტივიზაციის დროს საჭირო შეიქნა მოანგარიშები და ხელისუფლებამ უბრძანა 7 წლეულებსაც: 5 თვეში დასამთავრებელი ბავშვები გამოეშვათ ერთი კვირის განმავლობაში და ბავშვებს იანვრის პირველ რიცხვებში დაუბრუნეს დამთავრების მოწმობები და ხელისუფლებას ჩააბარეს. ასე ეპყრობიან ბოლშევიკები იმ თაობას, რომელიც კაცობრიობის მომავალს სათავეში უნდა ჩაუდგეს. თვალი რომ გადავავლოთ პროგრამებს, აქაც თქვენს წინ გადაიშლება თემატურად დალაგებული პროგრამა, სადაც მთავარი თემებია: საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია, ოქტომბრის რევოლიუცია, საქართველოს გასაბჭოება და სხვა, ის საკითხები, რომლითაც ბავში 4 წლეუდში იტვირთება. სახელმძღვანელოები არ იშობება, რაც არის, ისიც ბოლშე-

ვიკურ რეცეპტებზე აგებული და შედგენილია, უმთავრესად შემთხვევითი პედაგოგების მიერ. მაგალითად, ქართული ენის სახელმძღვანელო მე-VI ჯგუფისათვის შეადგინა გასულ წელს ნოე ქურიძემ, საიდანაც გამოდევნილია ჩვენი დიდი მწერლები და მათ ნაცვლად შიგ ვაბატონებულია ჩაჩიბაია, ესელი, თვით ავტორი და სხვა. სრულიად იდეენება სკოლებიდან: ქავჭავაძე, წერეთელი და ნინოშვილიც კი, რომლის ბოლშევიკურად მონათვლას ყოველ გვარად სცილობდნენ. ასეთი მუშაობის შედეგად ვდგებით იმ მდგომარეობის წინაშე, როგორც 4 წლედობის შედეგად გვქონდა ტენიკუმები. დასრულებული კულტურული ადამიანის მისაღებად საშვალო სასწავლებელი მუშაობდა. ამ ქამად საშვალო სასწავლებელი მუშაობს. მაგრამ არა კულტურული ადამიანისათვის, არამედ დასრულებული კომკავშირელის ან და საბჭოთა ქარხნის მონამორჩილის მისაღებად. ე. წოდ. თვითორგანიზაციებია, აქაც მუშაობდა ახალგაზდობაზე ბოლშევიკური შემოქმედების გასავრცელებლად. მაგრამ ენლა უკვე საქმეში ჩარეული არიან ცეკას აგენტები, ჩეკის ჯაშუშები და ოფიციალური თანამშრომლები. ერთი შენიშვნა და მხად არის გამორიცხვა ან ზოგჯერ დაპატიმრებაც. ხშირად შეხვედებით 15-16 წლის პოლიტ-პატიმარს და რადგან მცირე წლოვანია, გადასახლება არ შეიძლება დაავსკავენ მას ჩეკაში და მეტესში, რის შემდეგ ციმბირისკენ ისტუმრებენ. ხელისუფლება ხმამალა. გაჭიკვის პოლიტიკური სკოლის შექმნაზე, მაშინ როდესაც აქ საქმე გვაქვს უკიდურეს მონოტენიზმთან. არავითარი ზოგადი ცოდნა და განათლება, რო-

მელიმე სპეციალობა, ხაზი. 7 წლედში დაწყებული მუშაობა გრძელდება ტენიკუმებში. მაგალითად, ავიღოთ სააბრეშუმო ტენიკუმები: აქ ახალგაზდა კი არ სწავლობს აბრეშუმის მოყვანა-დამუშავებას, აქ არის დაყოფილი ვიწრო სპეციალობათ, მაგალითად, ამოღების განხრა, სართავი განხრა და სხვა. აქ ხელისუფლების მიზანი აშკარავდება. მას არ უნდა მიაწოდოს ახალგაზდას ზოგადი ცოდნა. რომლის საფუძველზე უნდა აიგოს სპეციალური ცოდნა. არამედ ხდება მომზადება მუშა ხელის რომელიმე ფაბრიკისათვის. ეს მიზანი განსახვრავს სწავლის ხასიათს და მის ხანგრძლივობას. ტენიკუმები ჩვენ გვქონდა 4 წლიანი, ამ ქამად დრო შემოკლებულია, ინდუსტრიალური ტენიკუმები დაყვანილია 3 წელზე, კოლპერატიული პედაგოგიური დაყვანილია 3 წელზე. ეს დროც მცირდება საწარმოო პრაქტიკისათვის, რომელიც პროგრამაში არის გათვალისწინებული, სასწავლო პროს ამცირებს სხვა მოვლენებით. მაგალითად გასული წლის ნოემბერში ტენიკუმები გაიწვიეს 15 დღით ყარაიაში და ალანის ველზე ბამბის საკრეფად. მზგავს მოვლენებს მრავლად აქვს ადგილი. პროგრამები იმავე სურათს იძლევიან აქ. რაც გვქონდა 7 წლედში. იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო მაღალფარდვანი ბოლშევიკური ფრახებია. ლიტერატურაში თანამედროვე პროლეტარული პოეზია პოლიტიკაში—სტალინის პოლიტიკური ხაზი. გადახრები და სხვა. ეკონომიურ პოლიტიკაში სტალინ-მოლოტოვ-ორჯონიკიძის ახრები—აი ამით ამოიწურება ზოგადი განათლება ტენიკუმებში. მარქს ტენიკუმ დამთავრებული მხოლდდ სურათზე იცნობს.

**შედეგალური ხელისუფლების იურიდიული სტრუქტურა
კავკასიის კონფედერაციაში**

კავკასიის შეკავშირებულ სახელმწიფოების კონფედერაციის პროექტში პირველ მუხლს, რომელიც აცხადებს ამ სახელმწიფოების სუვერენობას და რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ,—ხედ მოსდესდევს კონფედერაციის უფლებათა ჩამოთვლა. გავარკვიოთ ყურადღებით ეს უფლებანი. ხოლო წინასწარ უნდა ვიკითხოთ, თუ რაა თავისთავად კონფედერაციის იურიდიული ბუნება. ეს სრულიად ლოლიკურია: თეორია და პრაქტიკა ერთად უნდა ვიდოდენ. არაა საკმარისი ცოდნა რომელიმე დაწესებულების კონპეტენციის, მისი მიზნის და იმ უფლებების, რომლითაც აღჭურვილია ამ მიზნის განსახორციელებლად. საჭიროა მისი იურიდიული ბუნების გარკვევაც, რაც უკედ შეგვაძლებინებს მისი კომპეტენციების (სახელოების) გაგებას.

რას წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლება სახელმწიფოთა კონფედერაციაში? ამის გასარკვევად მივმართოთ უარყოფითს მეთოდს.

პირველი კითხვა: კონფედერაცია არის თუ არა სახელმწიფო? პასუხი უქუვა: იგი არაა სახელმწიფო. ამ დებულების დასამტკიცებლად უნდა გვქონდეს ცხადი საზომი სახელმწიფოსი—ეს საკითხი მეტად რთული და სადავოა. მოეპოვება სახელმწი-

ფოს ისეთი თვისება, რომელიც განასხვავებს მას სხვა მრავალ მსგავს კოლექტივებისაგან, როგორიცაა ავტონომიური პროვინცია, ფედერალურ სახელმწიფოს კოლექტიური წევრი, ბრიტანეთის დომინიონი?.

აქ ამ საგანს ვრცლად ვერ შევეხებით, ეს შორს წაიყვანდა. უკანასკნელ დრომდე საერთოდ მიღებული იყო, რომ სახელმწიფოს მთავარი დამახასიათებელი თვისებაა სუვერენობა. ყოველი სახელმწიფო სუვერენული უნდა იყოს, არაა სახელმწიფო კოლექტივი, რომელსაც არ მოეპოვება სუვერენობა. მაგრამ ამ საუკუნის დამდეგს ამ შეხედულობას დიდი კრიტიკა გაუწიეს სხვადასხვა ქვეყნებში და თითქმის უკუაგდეს სახელმწიფოს სუვერენობის თეორია. ხოლო თუ ეს საზომი უარყოფილ იქნა, მაშინ გაძნელებდა სახელმწიფოს გარჩევა სხვა მსგავს ორგანიზაციებში. წინად ეს ადვილი იყო: მხოლოდ სახელმწიფო იყო სუვერენი, ის იყო სრული ბატონპატრონი თავის მოქმედების და წესების. დღეს სულ სხვაა—სახელმწიფოს ზღუდავს საერთაშორისო უფლება. დღეს სახელმწიფოს საერთაშორისო ერთეულის წევრია, ისე როგორც კომუნები არიან წევრები სახელმწიფოსი. იმის თქმა არ გვინდა, რომ მდგომა-



რობა სრულიად ერთნაირია. განსხვავება, ხოლო ეს განსხვავება რაოდენობითა და არა ბუნებითი. სახელმწიფო დღეს განსხვავდება სხვა კოლექტივებისაგან მით, რომ მეტი უფლება, კომპეტენცია და ძალა აქვს.

მიუხედავად ამისა სახელმწიფოს მინც ახასიათებს ორი შემდეგი თვისება. ყოვლის უწინარეს ისაა თვითმართველი კოლექტივი, რასაც არისტოტელი უწოდებს «ავტარხიას», ე. ი. ორგანიზაცია თითქმის სრული. აქვს კონსტიტუცია, რომლის შეცვლა თავისუფლად შეუძლია, აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამსახართლო ორგანოები და ბოლოს მას შეუძლია იძულებით განახორციელოს თავისი უფლება.

სახელმწიფოს მოეპოვება მეორე თვისებაც, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი—ესაა დამოუკიდებლობა; ის არაა დამოკიდებული მეორე სახელმწიფოსაგან. დამოკიდებულია მხოლოდ საერთაშორისო უფლებებისაგან, რომელსაც ექვემდებარება პირდაპირ.

ერთი სიტყვით სახელმწიფოს საზოგადო დამახასიათებელია მისი თვითმართველობა და უშუალო დამოკიდებულება საერთაშორისო უფლებებისაგან.

კავკასიის კონფედერაცია შეიცავს ამ ორ თვისებას? უდავოა, რომ იგი უშუალოდ ემორჩილება საერთაშორისო უფლებას, იგი შექმნილია კონფედერალურ სახელმწიფოებისაგან, მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ექვემდებარება საერთაშორისო წესებს და არა კონფედერაციის წევრების სახელმწიფოებრივ წესებს.

ხოლო მოეპოვება მას თვითმართველობა? რასაკვირველია არა. იგი არაა სრული ორგანიზაცია, მას არ აქვს ის «ავტარხია», რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს. მას აქვს თავისი კონსტიტუცია. პაქტი, მაგრამ შეუძლია თავისუფლად მისი შეცვლა? პაქტის პროექტის მე 16 მუხლი გადჭრით გვეუბნება, რომ არავითარი ცვლილება არ შეიძლება კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების საკანონმდებლო დაწესებულებათა დაუდასტურებლად. ამას შემდეგ გავარჩევთ. აქ ავნიშნავთ მართლ, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა დამოკიდებულია არა მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებისაგან, არამედ აგრეთვე კონფედერალურ სახელმწიფოებისაგან. ამგვარად ჩვენს კონფედერაციას არ მოეპოვება თვითმართველობა (ავტონომია).

აქვს თუ არა საკანონმდებლო ორგანო? აქვს, ესაა სახელმწიფოთა საბჭო (მუხ. 9). მაგრამ კონფედერაციის საკანონმდებლო უფლება ფრიად შეზღუდულია იმ მოთხოვნებით, რომ საბჭოს ყოველი დადგენილება ერთხმად უნდა იქნას მიღებული (მუხ. 11; 4). გამოდის, რომ საბჭო უფრო შემაჯავ სახელმწიფოების ორგანოა, ვიდრე თვით კონფედერაციის.

რაც შეეხება აღმასრულებელ უფლებას, კონფედერაციას არ მოეპოვება არავითარი. სახელმწიფოთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება ევალება კონფედერაციის წევრ—სახელმწიფოებს. (მ. 14).

კონფედერაციის ნამდვილი ორგანოა საკონფედერაციო სასამართლო და მუდმივი სამდივნო. მაგრამ ეს უფრო ორგანიზაციის ნაკეთია, ვიდრე ნამ-

დვილი ორგანიზაცია. ცხადია, კონფედერაციას არ მოეპოვება ავტონომობა და იგი არაა სახელმწიფო.

შეიძლება ვთქვათ: თუ კონფედერაცია სახელმწიფო არაა, მაშ რაღაა? ის აზრი იყო გავრცელებული, რომ იგი უბრალო უფლებრივი ურთიერთობაა, უპიროვნებო. ასეთი შეხედულება მოასწავებს მეორე უკიდურესობას. უეჭვოა, რომ მას ორგანო პიროვნება აქვს—საერთაშორისო და შინაგანი. ისმება საკითხი: რას წარმოადგენს მორალური პიროვნება? ეს საკითხიც ისევე რთულია და მნიშვნელოვანი, როგორც სახელმწიფოს იურიდიული საზომისა. იურიდიული პიროვნება არსებობს, როცა არის განსხვავებული ინტერესების ცენტრი, არის ნებისყოფა, რომელიც გამოცხადდება დამოუკიდებელი ორგანოების შემწეობით. საჭიროა, რომ არსებობდეს განსხვავებული იურიდიული წესი. უეჭველია, რომ კავკასიის კონფედერაციის პაქტი ადგენს განსხვავებულ იურიდიულ წესს, რომელიც არ არის ის, რაც შემავალ სახელმწიფოებისა. ყოვლის უწინარეს მას აქვს საკუთარი მიზანი: უზრუნველყოფა მთელი კონფედერაციის დამოუკიდებლობისა. შესაძლებელია, კონფედერაციის საერთო ინტერესი წინააღმდეგ ცალკე წევრ-სახელმწიფოს კერძო ინტერესებს.

მეორე მხრით ცხადია ისიც, რომ კონფედერაციას საკუთარი ორგანოები აქვს: სახელმწიფოთა საბჭო, მუდმივი სამდივნო და საკონფედერაციო სასამართლო. ეს ორგანოები ყოველთვის ამქადაგებენ კონფედერაციის ნებისყოფას, როგორც განსხვავებული ერთეულისა, და არა ამა თუ იმ შემავალ სახელმწიფოსას. ვერაინ იტყვის, რომ საბჭოს დანიშნული ელჩები წარმოადგენენ ცალკე სახელმწიფოებს და ათა მთელს კონფედერაციას. არ ვამბობთ, რომ ეს ორგანიზაცია ყოვლად სრულია. ის არაა სახელმწიფო, ხოლო საკმაოა იმისთვის, რომ დაამტკიცოს კონფედერაციის ხელისუფლების იურიდიული პიროვნება.

შეიძლება ამ მხრით კავკასიის კონფედერაცია შევადაროთ ნეციათა ლიგას. უკანასკნელიც უსდგება სუვერენულ სახელმწიფოებისაგან. აქაც პრინციპია ლუწად როგორც საბჭოში, ისე საერთო ყრილობაზე გადაწყვეტილება ერთხმად უნდა იქნას მიღებული. ნაციათა ლიგის ორგანიზაცია არაა სრული, როგორც კავკასიის კონფედერაციისა: ვერ ვიტყვით, რომ ნაციათა ლიგას საკუთარი საკანონმდებლო უფლება ჰქონდეს, რადგან მისი გადაწყვეტილება, თუნდაც მის სახელოს ფარგალში, არ გადაეცემა სახელმწიფოებს როგორც სავალდებულო, არამედ უნდა იქნეს დადასტურებული მათ მიერ.

კავკასიის კონფედერაციაში კი პირიქით კონფედერაციის გადაწყვეტილება, მის სახელოს ფარგალში, სავალდებულოა შემავალ სახელმწიფოებისთვის. ეს მნიშვნელოვანი უპირატესობაა კავკასიის კონფედერაციის შედარებით ნაციათა ლიგასთან. ცენტრალურ ხელისუფლების დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს შემავალ სახელმწიფოებმა. თუ ამ უკანასკნელთ იფიქრეს, რომ ფედერალ, ხელისუფლებამ დაარღვია კონსტიტუცია და გადააჭარბათ თავის კომპეტენციას, ეს უნდა გაასაჩივრონ საკონ-



ფედერაცია სასამართლოში, რომელსაც ერთს ეკუთვნის უფლება შეამოწმოს ცენტრ. ხელისუფლების დადგენილების კონსტიტუციონალიზა.

კავკასიის კონფედერაცია იმიტაც უახლოვდება ნაციონალიზმს, რომ არც ერთს და არც მეორეს არ მოუპოვებდა აღმოსავლეთში ძალაუფლება. მათი გადაწყვეტილების შესრულება დამოკიდებულია წევრების კეთილგანზრდაზე. ეს შეიძლება ყველაზე უფრო სუსტი მხარე იყოს როგორც ნაციონალიზმის, ისე კავკასიის კონფედერაციის. აქა კონფედერაციის ერთი იმ სისუსტეთაგანია, რომელიც ეგებ საბედისწერო გამოდგეს კონფედერაციისათვის.

მოკლედ დავასკვნათ: კავკასიის კონფედერაცია

არაა სახელმწიფო, მას აკლია ამისთვის სრული ორგანიზაცია--საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო. ხოლო თუ სახელმწიფო არაა, იგი მინც მეტია ვიდრე უბრალო უფლებრივი ურთიერთობა. იგია საერთაშორისო ასოციაცია (შეკავშირება), იურიდიული პიროვნებით აღჭურვილი, რომელსაც აქვს განსხვავებული ინტერესები და დამოუკიდებელი ორგანოები მათ დასაცავად. როგორც ასეთი, ის პირველი განხორციელებაა, ჯერ კიდევ გაუბნდავი, კავკასიის ერთობის იდეისა, რომელიც, ჩვენის აზრით, ერთ დღეს მთლად შესრულდება გარემოებათა იმულებით.

მის. მუსხელიძე.

ბერძნული მოძრაობა მაკედონეთა შორის

ბაღდადის დანგრევა საბედისწერო გამოდგა სარკინოთა ცივილიზაციისათვის. განსაკუთრებით აღმოსავლეთში. მაგრამ ჯერ კიდევ ეს საზინელი უბედურება არ მომხდარა იყო, როდესაც ამ ცივილიზაციას დიდი უბედურება გადახდა კიდევ დასავლეთს. გაჩენისათვის ისლამმა განვლო ჩრდილო აფრიკეთი და მაგრად მოიკიდა ფეხი ისპანეთში, სადაც ისე აყვავდა, რომ მუსულმანური კულტურა აქ უფრო დაწინაურებული აღმოჩნდა, ვიდრე აღმოსავლეთს. ისპანურ ისლამის დედა-ქალაქი იყო კორდოვა. დასავლეთ სახალიფოს ბინა და ძლიერი ქალაქი, თვით ბაღდადზე უფრო მშვენიერი შეიძლება.

ისპანეთში, სადაც ჩრდილოეთის მთიან ადგილებში ქრისტიანები მოსასღვრებდნენ ისლამს, ეს უკანასკნელი მშვიდობიანად არსებობდა საუკუნეთა განმავლობაში. ხოლო როდესაც სარკინოთა ძლიერებამ დაქვეითება იწყო, ქრისტიანებმა სამხრეთისაკენ დაახვედნენ.

1213 წ. ისპანეთის ისლამი საბოლოოდ დაიმსხვრა ლას-ნავას-დე-ტოლოზას სამხელ ბრძოლაში. შემდეგში ქრისტიანებს მისის ნამსხვრევების შეკრების მეტი აღარ დასჭირვებიათ.

თვით კორდოვაც მალე დაეცა და მასთან ერთად ისპანურ ისლამის დიდებაც; რადგან ისპანეთის ფანატიკოს ქრისტიანებმა არა ნაკლები სავსებით ამოუგდეს ფესვები სარკინოთა ცივილიზაციას, ვიდრე წარმართმა მონღოლებმა იგივე უყვეს იმავე დროს. უნდა ითქვას, რომ ერთი მუჟა ისპანელ მუსულმანთა მაგრად იდგა გრენადასა და სამხრეთის ბოლოში იმ წლამდე, როდესაც ქრისტიანთა კოლუმბო ამერიკა აღმოაჩინა, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდური მოვლენა იყო, სინამდვილეში სარკინოთა ცივილიზაცია დასავლეთს დამსობილი იყო.

ამასობაში მუსულმანური აღმოსავლეთი სისხლისაგან იკლებოდა მონღოლთა მათრახის ქვეშ. ეს ბარბაროსები გამოლაშქრებას გამოლაშქრებაზე აწარმოებდნენ; უკანასკნელი ცნობილი შემოსევა იყო ლანგ-თემურისა მეთუთხმეტე საუკ. დასაწყისში. ამ დროს დასავლეთის მონღოლებმა მაკედონეთა მიიღეს, მაგრამ ამას არ გამოუყვლია მათი ხანიათი. ლანგ-თემური რომ ყანის შთამომავალი

იყო, ამის საბუთად მართო ის კმარა, რომ სიამოვნებად მიიჩნდა ადიმიანთა თავის ქალების პირამიდების აგება და განსაკუთრებით იჩინა თავი ისპანის ადების შემდეგ, როდესაც ერთის ასეთის პირამიდის ამართვას 70.000 თავის ქალა მოაწოდოდა.

როდესაც მონღოლების შემოსევა იშეწყდა, მუსულმანური აღმოსავლეთი, განადგურებული და მოსახლეობა ამოწყვეტილი, ოსმალთა თურქების უღელ ქვეშ მოიქცა.

ოსმალები თავდაპირველად ერთს იმ მრავალრიცხოვან თურქულ ურდოთაგანს წარმოადგენდნენ, რომელნიც ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ შევიდნენ მცირე აზიაში. მათი ძლიერება შედგებოდა იყო სულთანთა მთელის რიგის მონებრებულობისა. ამათ შემოიერთეს თანდათან მეზობელი თურქული თემები და ეს გადიდებული ძალა მოიხმარეს აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ გასაწევად. 1453 წ. ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და დაამხეს ბიზანტიის ძველი იმპერია და ერთის საუკუნის შემდეგ დაიპყრეს მუსულმანური აღმოსავლეთი სპარსეთიდან მაროკომდე, მოაქციეს თავიანთ უღელ ქვეშ ბალკანეთის ნახევარკუნძული, გადალახეს უნგრეთი და ვენის კედლებს მიადგნენ. წინააღმდეგ თავიანთ ახლობელ ნათესავების, მონღოლების, მაგალითისა, ოსმალთა თურქებმა ხანგრძლივი იმპერია დაარსეს ეს იყო ბარბაროსული იმპერია, რადგან თურქებს ბევრი არა გაეგებოდათ კულტურის. ერთად ერთი, რასაც აფასებდნენ, სამხედრო საქმის გაუმჯობესობა. იყო, ამას ძლიერ აფასებდნენ და ამაში ყველაზე უფრო დაწინაურებულებიც იყვნენ. თურქებს საუკეთესო არტილერია და ყველაზე გამძლე ქვეითა ჯარი ჰყავდათ მათის არსებობის ბედნიერ დღეებს და ვეროპას შიშსა ჰგვირდნენ.

ამავე დროს ვეროპა იღვიძებს პროგრესისა და უფრო მაღალ ცივილიზაციისათვის. მაშინ როდესაც მუსულმანური აღმოსავლეთი მონღოლთა განადგურებულ მოქმედებისა და თურქულ მილიტარიზმის წყალობით იძირებოდა, საქრისტიანო დასავლეთი აღტაცებით ემზადებოდა აღორძინებას და ამერიკისა და ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენას. ძნელია ამ აღმოჩენათა გახვიადება.



როდესაც ქრისტიანობა და ვასკო-დე-გამამ მეთუთხეტე საუკუნეში ბოლოს შესრულეს თავიანთი შესანიშნავი მოგზაურობანი, დასავლეთის ცივილიზაცია მომწყვდეული იყო შიდა და დასავლეთ ვეროპის ვიწრო სამზღვრებში და ნაკლებ ბრწყინვალე წინააღმდეგობას უწევდა თურანულ ბარბაროსობის ძალმომრეობას. რუსეთი მონღოლთათვის ბრწყინვალე მოწყობებისა ქვეშ, ხოლო თურქები, რომელთა სამხედრო განათლებას უმაღლეს წერტილამდე მიეღწია ამ დროს, გამარჯვებით წინ იწევდნენ და თვით ვეროპის გულს ემუქრებოდნენ. ეს თურანული ბარბაროსები, რომელთაც ფეხ ქვეშ ეჭირათ აზია, ჩრდილო აფრიკეთი და აღმოსავლეთ ვეროპა, იმდენად მძლავრი იყვნენ, რომ დასავლეთ ცივილიზაციას მეტად უჭირდა თავის დაცვა. მართლაც დასავლეთის ცივილიზაცია იბრძოდა და ზურგს უკან კი კედელი ჰქონდა ამართული; ეს კედელი უსახდრო ოკეანე იყო. ძნელი წარმოსადგენი ჩვენთვის, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ჩვენს საშუალო საუკუნეების მამებს ოკეანე. მათთვის ეს იყო რაღაც ისეთი, რაც ხელფეხს უბორკავდა, და დამბლას სცემდა ყოველსავე არსებას, — სიბნელისა და საშიშროების სამეფო. ვეროპის უძრავი საშუალო საუკუნეებში არ არის სრულებით გასაკვირი, რადგან წინ შეუწყალებელი და შემოტევი აზია ედო და უკან კი ზურგის მისაბჯენათ არაფერი. მაგრამ აი, ერთბაშად თვალის ერთ დახამხამებზე ზღვის კედელი გადაიქცა შინა გზად და მკვდარ სამზღვრებიანი ვეროპა ოკეანეს მბრძანებელი გახდა და ამით ქვეყნიერობის მბრძანებელიც.

ის, რაც მოხდა, ქვეყნიერობის ისტორიის უდიდესი სტრატეგიული ცვლილება იყო. მის მაგიერ, რომ პირისპირ შეტაკებოდა უიმედოდ აზიელებში ყველაზე უსასტიკეს მტერს, რომლის პირდაპირი დამარცხება შეუძლებელს ჰგავდა, ვეროპიელებს ეხლა შეძლება მიეცათ თუ ნებავდათ გვერდიდან შემოველოთ. ამას გარდა საშუალებათა უპირატესობაც ვეროპის მხარეს იყო. ახალ ქვეყანას ნიღბი აეხადა, ვეროპას შეეძლო უსახდრო სიმდიდრე ეზიდნა იქიდან, გაეძლიერებია თავისი შინაური ცხოვრება და შემდგარიყო პროგრესის გზაზე, რომელსაც მალე გაცილებით მაღლა უნდა დაეყენებინა ვეროპა მოიერეშე აზიელებზე. რომელნიც ისეთი საშიშარნი იყვნენ ოდესმე. რას წარმოადგენდა, მართლაც, მუსულმანური აღმოსავლეთის მუდამ უცვლელი შეძლება, ამერიკისა და ინდოეთის სიმდიდრესთან შედარებით? დასავლეთის ცივილიზაცია, ახალის ენერგიით ცეცხლ მოკიდებული გამალებულის ნაბიჯით წავიდა წინ, გაინთავისუფლა თავი საშუალო საუკუნეების არტახებისაგან, ხელი მოსჭიდა მეცნიერების თილისმას და ფეხი შედგა ახალ დროთა ნათელში.

ყველა ამას ისლამი გულგრილად დახვდა. სარკინოზთა ცივილიზაციის ფლასით მოსილი მუსულმანური აღმოსავლეთი ჩამორჩა. მალე სამხედრო ძლიერებაც გაჰქრა, რადგან თურქებს საღათას ძილი მოეკიდა და სამხედრო საქმის მოვლას თავი ანებეს. ერთ ხანს, საშინაო კინკლაობის გამო მოუცვლელი,

დასავლეთი ყოყმანობდა აღმოსავლეთზე იერიშის მიტანას, იმდენად დიდი იყო ოსმალის სახელი. მაგრამ თურქების სრულმა დამარცხებამ, როდესაც გაბედული იერიში მიიტანეს ვენაზე. დაანახვა დასავლეთს, რომ ოტომანთა იმპერია ძლიერ დაუძლეურებულყო. მაშინ დასავლეთმა თავისი იერიშებით ააოხრა ეს იმპერია და ეს უკანასკნელი თუ საბოლოოდ არ დაეცხო, მხოლოდ ვეროპიელ სახელმწიფოთა ერთმანეთის შურიანობის წყალობით. — ესენი ერთი მეორეს ედავებოდნენ მის გვამს.

მიუხედავად ამისა მუსულმანურმა ქვეყანამ, როგორც მთლიანად ერთეულმა, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნე იგრძნო ნამდვილად დასავლეთის იერიშების სიმძიმე. მთელის მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში დასავლეთი მის განაპირა ადგილებს ესხმოდა მხოლოდ. აღმოსავლეთ ვეროპაში და ინდოეთში გამართულ ფრონტს, ხოლო ისლამის გული, მართლაც მარამ შიდა აზიამდე, ხელუხლებელი რჩებოდა. მაგრამ მუსულმანობამ ვერ გამოიყენა ეს ვადა. საღათას ძილი მოკიდებული, ვეროპიელ «ურჯულთების» მიმართ მედიდურობით სავსე, დამარცხების მიუწოდებელ ალაპს მიუწოდებელ ნების გამოხატულებად მიძღები ისლამი თავის ძველ ცხოვრებას განაგრძობდა და არც არა ესმოდა და არც სურვილი ჰქონდა დასავლეთის აზროვნებისა და განვითარების გაეგო რამ.

ასეთი იყო დაუძლეურებული მუსულმანური ქვეყანა, რომელიც უნდა გამკლავებოდა წარმოებაში მომხდარ რევოლუციით გაძლიერებულს და უკეთესად შეიარაღებულს ვეროპას.

მეცნიერებს და ახალ დროთა აღმოჩენებს მოეტაცნათ ბუნებისათვის მისი საიდუმლოებანი და ბრძოლის ისეთი იარაღები ჩაეგდოთ ვეროპიელი სათვის მოჩხუბარ ხელში, როგორიც წინად სიწმარადაც არ ენახათ. თვითთა თვითუფლა დაემხო მუსულმანური სახელმწიფოები დასავლეთის მიერ მიტანილი იერიშების ქვეშ და ვეროპიულმა სახელმწიფოებმა მალე გაინაწილეს მთლად მთელი ისლამის ქვეყანა. ინგლისმა მისი საუთრა ინდოეთი და ეგვიპტე, რუსეთმა გადალახა კავკასია და დაიუფლა შიდა აზია. საფრანგეთმა დაიმორჩილა ჩრდილო აფრიკეთი, ხოლო ვეროპის სხვა ერებმა მუსულმანურ მემკვიდრეობის უფრო მცირე ნაწილებს დაავლეს ხელი. უკანასკნელმა დიდმა ომმა, ბატონობისათვის ამ თვებამოდების უკანასკნელი ეტაპი აღნიშნა. იმ ხელშეკრულებათა მუსლეების ძალით, რომელთაც ბოლო მოუღეს ომს, ოსმალეთი მოსპობილ იქნა და აღარ დაჩინილა არც ერთი მუსულმანური სახელმწიფო, რომელსაც ნამდვილი დამოუკიდებლობა შეერჩინოდეს. მუსულმანური ქვეყნიერობა დამონებულ იქნა სავსებით... ქაღალდზე.

ქაღალდზე! რადგან სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთის ბატონობა თავის გარეგან გამარჯვებას დღესასწაულობდა, ისეთს წინააღმდეგობას წააწყდა, როგორიც ჯერ არადროს არ ენახა. ამ რამდენიმე ასის წლის განმავლობაში, მინამ დასავლეთი იმარჯვებდა, მუსულმანობაში მოხდა უშველებელი შინაური ცვლილება. ვეროპიელთა წინსვლის ზრდამ

ბოლოს გონებაზე მოიყვანა უძრავი აღმოსავლეთი-
 ისლამი მიხვდა თავის დაუძღვრებას და ამის შეგ-
 ნებამ რაღაც ძლიერი, უცნობი, მაგრამ ღრმად ჩა-
 დებული საფუვარი აამუშავა წინასწარმეტყველის
 250 მილიონ მიმდევართა შორის, მაროკოდან ჩინე-
 თამდე და თურქესტანიდან კონგომდე. პირველი
 ნაპერწკალი, როგორც მოსალოდნელი იყო, აინთო
 არაბეთში, ისლამის აკვანში. აქ დაიბადა მართლა-
 დაც მეცხრამეტე საუკ. დასაწყისში ვაჰაბიტთა მოძ-
 რაობა, რომელსაც აზრად ჰქონდა ისლამის გარდა-
 ქმნა და რომელმაც გამოიწვია მუსულმანური აღორ-
 ძინება; ამან თავის მხრით წარმოშვა «პანისლამიზ-
 მი». ამას გარდა, ამ სავესებით შინაგან მოძრაობას-
 თან ერთგულად დასავლეთიდან გადმოხეტია გა-
 რეგან ძალთა ნამდვილმა ტალღამ, ისეთმა აზრებმა,
 როგორც არის საპარლამენტო წესი, ნაციონალიზმი,
 მეცნიერული აღზრდა, ინდუსტრიალიზაცია, და
 სულ ბოლო დროის აზრებიც კი, როგორც: ქალთა
 საკითხი, სოციალიზმი და ბოლშევიზმი. ამ ახალ
 ძალთა საერთო მოქმედებით შექმნილ და ევროპიე-
 ლთა წინსვლის განუწყვეტელ მოწოლით ამოძრავე-
 ბული მუსულმანური ქვეყნიერობა უფრო და უფ-
 რო გამოფხიზლდა და სიცოცხლესა და მოქმედებას
 დაუბრუნდა. დიდი ომი იყო საოცარის ძალის ტე-
 ხა. და დღეს ისლამი მთელის თავის ძალღონით
 სცილობს ჩამოაყალიბებს ახალი მუსულმანური
 ქვეყანა. როგორი არიან ის ძალები, რომელნიც სვა-
 ლინდელ ისლმს სუქედენ?

ა ლ ბ ე რ ტ ო მ ა

გასაოცარი მოღვაწე, გასაოცარი თვით ამ კურ-
 თხეულ საფრანგეთისათვის, რომელიც ასე შემკულია
 პირველ ხარისხოვანი საზოგადო მოღვაწეებით.

მის მრავალფეროვან ნიქს მრავალ დარგში უვა-
 რჯიშნია და ყველგან თვალსაჩინო კვალი დაუჩე-
 ნია: მშენებელი ურნალისტი და მწერალი (ისტორია,
 სოციალური საკითხები), მხურვალე ორატორი, გა-
 მოჩენილი დეპუტატი, კიდევ უკეთესი მინისტრი;
 რომლის ორგანიზატორულმა უნარმა უდიდესი სამ-
 სახური გაუწვია მაშინ საფრთხეში მიყოფის ქვეყანას
 (ის იყო შეიარაღების მიწისტრი დიდი ომის დრო),
 ხოლო უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ერთ
 უდიდეს საერთაშორისო დაწესებულებას— შრომის
 საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელი. ყველა ამ
 სარბიელზე სჩქედდა მისი საარაკო, ზეკაცური ენერ-
 გია, ქვეყანას აცვიფრებდა მისი დაუღალაობა. მაგ-
 რამ ის უძვირფასესი თვისება, რომელიც მას ყველა
 სხვა დიდ მოღვაწისაგან ანსხვავებდა და მათზე მალ-
 და აყენებდა, იყო პარმონიული შეერთება საოცარი
 პრაქტიკული უნარის და უმაღლესი იდეალიზმის.
 ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი პრაქტიკული მიღწე-
 ვა გაციტსკროვნებული იყო «სოციალური სამართ-
 ლიანობისა» და ხალხთა სოლიდარობის იდეით. მი-
 სი საქმიანობა მიმდინარეობდა მისი დიდი მასწავ-
 ლების, ჟორესის მიერ ნაანდერძევი დევიზით: სვლა

იდეალისაკენ და ამავე დროს გაგება რეალობის. თე-
 ორიისა და პრაქტიკის, იდეალურისა და რეალურის
 მასში ასე შედუღებამ შეაძლებია მას ასე მალა და-
 ეყენებია უდიდესი მნიშვნელობის ახალი საერთა-
 შორისო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელობა
 ჩააბარეს მას ამ 12 წლის წინათ. ვერსალის ზავის
 მიერ შექმნილ ამ ოფიციალურ დაწესებულებას ალ-
 ბერ ტომამ შთაბეჭა მომავლის იმედებით ანთებულ-
 თა თავისი სული და მით მოუპოვა მას ყველა ქვეყ-
 ნის მშრომელთა თანაგრძობა და ნდობა; მისი რეა-
 ლიზმი, მისი საქმიანობის სახელმწიფოებრივი საზ-
 რიანობა იზიდავდა მეორე მხარეს, სხვადასხვა სახე-
 ლმწიფოთა მთავრობებს და თვით ბურჟუაზიულ წრე-
 ების წარმომადგენლებსაც კი. დიდი იყო მისი პირო-
 ვნული გავლენა და ნდობა ყველა წრეებში, ყველა
 ქვეყნებში. ამიტომაც ძნელია მისი შეცვლა, ძნელია
 მისი მოადგილის გამონახვა. გაცვეთილ ფრანხს
 «აუზნალაუტრებელი დანაკისი» ამ შემთხვევაში სრუ-
 ლიად რეალური მნიშვნელობა აქვს.

ალბერ ტომას იდეალიზმის სითბო ჩვენს ქვეყა-
 ნასაც მიწვდა. ის იყო ჩაგრულ საქართველოს დიდი,
 ერთგული, მხურვალე მეგობარი. ის იყო ერთ-ერთი
 პირველთაგანი ფრანგ მოღვაწეთა შორის, რომელიც
 ახლად აღორძინებულ ჩვენს ეროვნულ თავისუფლე-
 ბას ნდობით შეხვდა და მას მხარი დაუჭირა სწორედ
 იმ ხანაში, როცა ჩვენ განსაკუთრებით გვესაჭიროე-
 ბოდა გავლენიან მოღვაწის დანხარება «ალიების»
 ქვეყანაში. ამ მის დაუფასებელმა დანხარებამ ლიტე-
 რატურული გამოსახულება ჰპოვა იმ მშვენიერ წი-
 ნასიტყვაობაში, რომელიც ალბერ ტომამ უძღვნა
 ირ. წერეთლის ფრანგულათ გადათარგმნილ სიტ-
 ყვებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხა-
 დების შესახებ. და მას შემდეგ არასდროს შენელე-
 ბულა მისი თანაგრძობა ჩვენი საქმისადმი, მას არ
 დაზარებია ჩვენთვის სასარგებლო ნაბიჯის გადად-
 გმა. მაშინაც კი, როცა ისეთი მაღალი ოფიციალური
 პოსტი ეჭირა, რომ დეპუტატობასაც კი დააწება
 თავი, ის არ მოერიდა მონაწილეობა მიეღო ქვენევაში
 დაარსებულ საქართველოს დამხმარე საერთაშორი-
 სო საზოგადოებისათვის, რომლის წევრი ის დარჩა
 ბოლომდე.

ევროპიელ მოღვაწისათვის ჯერ კიდევ ახალგა-
 ზნდა (54 წლის) ემსხვერპლა ალბერ ტომა დაუზოგავ
 შრომას, უზომო საქმიანობას ამ ქვეყნის ტვირთში-
 მეთა სასარგებლოთ. პარისის მახლოდელ პატარა
 შამპინიის სასაფლაოზე ის გლოვითა და ცრემლით
 მიაცილა არა მარტო მის პოლიტიკურ მეგობრებმა,
 არა მარტო ფრანგებმა, არამედ ყველა ქვეყნების
 ოფიციალურმა და არაოფიციალურმა წარმომადგე-
 ნლებმა, იმდენად უნივერსალური იყო ამ იშვიათი
 მოღვაწის საქმიანობა.

მებრძოლი საქართველოც გულისტკივილით შე-
 იტყობს მისი დიდი მეგობრის უღროო დაკარგვას
 და. დღეს ძალმომრეობის მიერ დამუნჯებული,
 გულის სიღრმეში შეინახავს მისდამი მადლობის
 გრძობას.

ისტორიული ამბავი

(ლემის ნაკვეთი *)

სამეფო პალატის ერთ დიდ დარბაზში არჩვეულ ბრძანებით სიცხველვით სუფევდა. მთელი ტვილისიდან თავი მოეყარათ საქართველოს წარჩინებულთა დედათა და ასულთა—აქ იყვნენ ცოლები ვაზირთა, სპასალართა, ერისთავთა, ტაძრეულთა და სხვათა დიდებულთა და ყრმა ქალები, არა ნადიმობისათვის, არა ასპარეზობისა გინა სახიობის სახანავად, არა უცხო სტუმართა შესახვედრად და პატივსაცემლად მოსულიყვნენ, არამედ ყველანი ისხდნენ და გულმოდგინედ ხელსაქმობდნენ გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა შესამოსად და დასახმარებლად.

მათი ოქრო-ქსოვილთა და ატლასთა საცმელნი და ძვირფას თვალთა სამკაულები ეტოლებოდნენ სასახლის უხე მორთულობას და მათი გაცხველებული მუშაობა თითქოს არა ეგუებოდა ირგვლივ განფანტულ სიმდიდრესა და ბრწყინვალეობას.

მაგრამ ესეთი იყო წესი მეფისა თამარის, რომელი «ვერ შვიტყუა უზრუნველობამ საწუთროსამან, არც მეფობამან გვირგვინისამ და სკიპტრამან, არცა პატიოსან ქვათა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმძრავლემან და ესოდენ სიმხნემან, ვერცა წინაპართა სიმდიდრემან», და მწვერვალამდის აღმატებულმა და განდიდებულმა არასოდეს დაკარგა სიმშვიდე გონებისა და სიკეთე გულისა, და «ვითარცა მზე, სწორ პატიობით, ყოველთა ზედა განუტოებდა ნათელსა თვისთა შარავანდედათა».

მეფე, რომელსა ეპყრა «ხღვით პონტოსით ზღვამდე გურგანისა და დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი, ხაზარეთამდი და სკვითამდი»,—არა მეფობდა მხოლოდ, არამედ უშუალოთ მაღალი გონიერებით და მეცნიერებით განაგებდა სახელმწიფოს ყოველ საქმეს—საეკლესიოს, სამოქალაქოს, სამხედროს, საშინაოს და საგარეოს და სპათაკაცი წარმართავდა და განამხნევებდა თავის ანთებულ სიტყვით. და ამ მეფის ერთი უმთავრეს საზრუნავთაგანი იყო მოვლა ღარიბთა, მომძლავრებულთა, დაჩაგრულთა.

მისი ხელი არაოდეს დაცხრომილა მსახურებისაგან გლახაკთათვის და არა თუ რაიმე დღესასწაულის, ბედნიერების, გამარჯვების დროს გაახსენდებოდა საქველ საქმე და «გლახაკნი გამდიდრდებოდეს, მოვალენი ვალთაგან განთავისუფლდებოდეს, ქვრივნი და ობოლნი ღონიერ იქნებოდეს და მიწის მოქმედნი გააზნაურდებოდეს». გაჭირვებულთა დახმარებას მისცა სრულიად სახელმწიფოებრივი მოწყობილი სახე. სამეფოს ყოველი შემოსავლის მეათედი განწესებული ჰქონდა საქველმოქმედოთ და განაჩინა სარწმუნონი ზედამდგომელნი დავრდომილთა

*) ბოკვერი—ლეკვი ლომ-ვეფხთა და მისთანათა.—თუმცა რიგით დღეს სხვა ამბავი უნდა მოგვეთავსებინა, მაგრამ რადგან მაისი თამარის თვეა, ამიტომ ამ ნუმერში ვებუძვით ამბავს თამარ მეფის ცხოვრებიდან.

მოსავლელად. თვით ქყონდიდელს, დღევანდელურად რომ ვსთქვათ, სამინისტროს თავმჯდომარეს, ევალებოდა ყოველ ორშაბათობით «ობოლთა, ქვრივთა და მიმძლავრებულთა განკითხვა». ამასაც არ კმაყოფილდებოდა თამარი და თუმცა საქართველოს საჭურჭლე იმ დროს მეტად მდიდარი იყო და «მიწისა მსგავსად შეასხმიდეს ოქროსა და თვალსა და მარგალიტსა წყვით დასდებდეს», მაგრამ საკუთარი ხელით ჰსოვდა და კერავდა და თვისივე ხელით ურიგებდა ღარიბთ, ან გაყიდდა და საფასურს მათ მოახმარდა. ამასვე მოითხოვდა სხვა დედათაგანაც. ხშირად დაუვლიდა დამაშვრალთა და ავადმყოფთ, პატრონობდა და განწესებული დროც ჰქონდა ამისთვის მიჩნეული.

დღესაც—პარასკევი იყო და ხვალ შაბათი—მოეწვია წარჩინებული დედანი და ასულნი, მეგობარნი და თანამზრახველნი და მათთან ერთად ამხადებდა იგი «მამა ობოლთა და მათჯული ქვრივთა»,—როგორც იტყუდა თვითონ.—«ღარიბთა შესამოსლებს და ყოველსა დასახმარებელს და შესაწევარს».

იქდა ერთ კუთხეს უპატივცემულესთა დედათა შორის «შვენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვი თა მით მხეებრ აპოლონიანითა», და თუმცა ყველაზე ნაკლებად მორთული იყო და სადად ეცვა.—მარტოდენ ძვირფას თვლებით შემკული ოქროს პატარა ჯვარი უმშვენებდა გულს *)—ხოლო მოუკანმელობა კიდევ უფრო გადამეტებულად გამოაჩინდა მისი სიკეთეფის, რომელიც თანაშერთული იყო სულიერ სიკეთესთან. დარბაზში მყოფნი ისე შეეყურებდნენ, ვით ღვთაების ხატს და მოკრძალება და პატივი ჰქონდათ მისი, არა შიშითა, არამედ სიყვარულითა მისი კეთილობისა, ღმობიერობისა, სიწორეობისა და სიბრძნისა.

სეფე ქალები ჯგუფ-ჯგუფად საქმობდნენ და ერთმანეთში წყნარად უბნობდნენ. იგონებდნენ გასული წლის (1203) დიდს ომებს—შანქორისას და ვანსაკუთრებით მთელი ასიის ბრძანებელის ნუქარდინის სასტიკ დამარცხებას და ქართველთა სიმხნევეს და გამარჯვებულობათა; კიცხავდნენ საბერძნეთის (ბიზანტიის) მეფეს ალექსი ანგარს, რომელმაც თამარის შეწირული ძღვენი წაართვა შავი მთის, ანტიოქიის, მთაწმინდის, კვიპრის მონასტრებს და როგორც დასაჯა ღმერთმა, რამეთუ ფრანგთა და ვენეტიკთა წარუღეს კონსტანტინეპოლი, ხოლო თამარმა წარუღო ტრაპიზონი, ლიმანი, სომისონი, სინოპი და დასვა მუნ კეისრად ნათესავი თვისი ალექსი კომნიანოსი, და გაძარცულთა მონაზონთ კვლავ მიუძღვნა ძვირფასი საჩუქარი.

ზოგნი ამას წინანდელ ასპარეზობაზე ბაასობდნენ და გამარჯვებულ მოყმეთა და რაინდებს შეაქებდნენ. სხვები კიდევ ყრმანი მოშიარეთა და მეღვინეთა ერთმანეთს აჯიბრებდნენ და ვეფხის ტყაოსნის, ლეილ-მეჯუნის და ვისრამიანის სიტყვებით პაექრობდნენ.

თამარი ალექსანდრიით ვაჭართაგან მიღებული მატყლისაგან ართავდა, როგორც კარგი ხელოვანი, და გათავებდას რომ აპირებდა, თავის წუხანდელი სი-

*) ეს ჯვარი დღემდის დაცულია.

ზმრის თხრობა დაიწყო. დარბაზი სმენად გადაიქცა, ყველანი დაღუმდნენ.

«იხილა საყოფელი რამე სახილველად ტურფა და სიკეთე აღმატებულთა ყვავილთა, მწვანელითა და ნერგთა მიერ გამშვენებულთა. ამასა შინა იყო შესწორებული ტახტები და ტაბლები და სარკმლები, პატიოსნად შემკული ოქროთა და ვერცხლითა, საჯდომები თვითთულისა კაცისა საქმეთა მისთა შესატყვისად. ხოლო ზევით იდგა ტახტი უპატიოსნესი, მორთული ძვირფასთა თვალთა მიერ. და განიზრახა თამარმა გულსა თვისსა: «მეფე ვარ მპყრობელი ყოველთა და ჩემი არს ესე უზენაესი და უპატიოსნესი საჯდომი», და მიმართა დაჯდომად. ხოლო მყის წარმოუდგა ნათლითა შემოსილი კაცი და ჰრქვა: არა არს შენი საჯდომი ეგე». მეფე ეტყოდა: «ვინ არს ჩემსა უპატიოსნესი?» კაცმა ჰრქვა: «ტახტი ისი შენისა მოსამსახურისა ქალისა არს, რომლისა ხელით შესთული ჰმოსიეს ათთორმეტთა მღვდელთა. საჯდომი შენი კი სხვაა», და უჩვენა უდარესი».

თამარმა სიზმრის ამბავი რომ გაათავა, სიხარულით წარმოსთქვა: «დიდება ღმერთსა ყოველად სამართლიანსა. მეფობა არაა სათნოება, ხოლო სათნოებაა მეფობა. ნუ მივკერძოთ მთავართა სიდიდისათვის და ნურცა გლახათა დავამდაბლებთ სიმცირისათვის, რამეთუ ყოველი ერთნი ვართ».

თქვა თამარმა და სიხარული მისი ახარებდა ყველას.

ხელსაქმობა თითქმის გათავებული იყო და ყველაფერი გამხადებული, რომ ზვალ მეფეს თანახლებითა ზოგიერთ წარჩინებულთა დედათა დაველოღობითა. ობოლთა და ქვრივთა სახლები და ყველასთვის აღმოეჩინა დახმარება და ნუგეშისი ეცა. ავადმყოფთა ჩამოვლის დროს კარის აქიმი ეახლებოდა, ხოლო თვითონაც დახედავდა სნეულთ და მათ გაქირვებას განიციდდა, და თუმცა ლა მცირედ მეცნიერ იყო წამლობისა, მაგრამ გასახსენებლად უკვე დასწავლულისა, მწიგნობარს წიგნი სააქიმოა მოსთხოვა და ვიეთნიმე კარნი წააკითხვიან—მაჯისა შეტყობისა, ტანისა სიმრთელისა შენახვის, მომავლის სწებისა.

ამაობაში უკვე საღამო მოახლოვდა, წელი ნიავის შერხეულ ვარდთა და ყვავილთა სურნელება ღია სარკმლით საამოდ მოეფინა დარბაზს. სადაცაა მწუხრის ლოცვისთვის დარეკდენ და წესი იყო პალატიისა, რომ სასახლეში მყოფნი—მსახურნი თუ წვეულნი—დილეულის, სამხრის თუ მწუხრის ლოცვას არ უნდა დაკლებოდნენ.

უტბად ეზოში ნადირმა რამ დაიყვინა და საშინელი ხმაურობა ატყდა. დარბაზის ქალები შეკრთნენ. ჯერ კიდევ ვერ გაერკვიათ, თუ რა იყო, რომ სარკმელში ლომის ბოკვერი შემოხტა, გააფთრებული, სახახავად მშვენიერი.

ისიც იყო, პირველს შემხვედრელს უნდა დატაკებოდა და დაევილიჯა თავის კლანჭებით, რომ თამარი დაინახა, მშვიდი, წყნარი, აუღელვებელი, რომლის თვალები ესოდენ სიკეთეს და მადლს აფრქვევდნენ.

ნადირი მყისვე შეჩერდა. დაეშვა. მოიკცა. შერ-

ცხვა, ეს რა მომივიდაო. თავი იატაკზე დადვა და სულგანაბული შეაცქერდა თამარს.

მეფემ ოდნავ გაუღიმა. ბოკვერი წელწელა გაცოცდა მისკენ. თამარმა თავზე ხელი მოუხსვა, მოეაღერა. ნადირმა რალაც სითბო და სიტკბო იგრძნო და მეფეს ფეხების ლოშნა დაუწყო...

ეს იყო შირვანშაჰის აღსართანის ნახუქარი ბოკვერი, რომელსაც საბმელი გაეწყვიტა და მსახურთ გამოქცევოდა.

ს. ცირცხალავა.

რ ა ვ უ შ ო ლ ო თ ?

შემთხვევით ჩავგივარდა ხელში პატარა ფრანგული თვიური ჟურნალი «La Croisade». ჟურნალი თავის თავს ნათლავს კონტრ-რევოლუციონური და ანტიმარქსისტული სახელით, ეტყოდა დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, მცირე ტანისაა, მეორე წელიწადია გამოდის და უკანასკნელი ნუმერი იანვარ-თებერვლისა ერთ პატარა რეველაციას გამოცემული. ამ ნუმერში მოთავსებულია თანამშრომლისთვის C. du T.-თვის ვინმე ქართველის N. de S.-ის ნაამბობი საქართველოს შესახებ. ინიციალებს ქვეშ ამოფარებული ქართველი, რომელსაც თავი მოაქვს თავის ნაციონალისტობითა და პატრიოტობით, აღნიშნავს იმასაც, რომ კათოლიკეა, რომ მისი მშობლები ბაქოში ცხოვრობდენ, რომ დიდი ომის დროს მოხალისედ მსახურებდა რუსის ჯარში,—აცნობს შეუწყნარებელი შეცდომებით საქართველოს გეოგრაფიას და ისტორიას. უამბობს სრულიად ყალბად უკანასკნელი წლების ამბებს და ცთილობს ყოველგვარად ცილი დასწამოს და სახელი გაუტეხოს საქართველოს ეროვნულ მთავრობას და ასეთი გაუგონარი დაბეზლებით ათავებს თავის მიმოხილვას:

«საფრანგეთში, თქვენმა მთავრობამ არსებობის ნება მისცა დედაქალაქის შუაგულში ორს ხორცმეტს: საბჭოთა ლეგაციას, სადაც-თავმოყრილია კომუნისტური კონსპირაციის ძაფები, და ბუნავს ვითომდა საქართველოს ლეგაციის. ეს უკანასკნელი დაწესებულება არის თავშესაფარი სიცრუის. აი აქ დაბინავდა ნაშთი იმ სოციალისტურ-მარქსისტული მთავრობისა, რომელიც გაბატონდა ჩვენში გერმანელების დახმარებით... საჭიროა საფრანგეთის საზოგადოებამ იცოდეს ამ დაწესებულების ფასი. მას არავითარი უფლება აქვს საქართველოს წარმოადგენდეს. ის წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულობას სამშობლოს წინაშე. ლოდიკური იქნებოდა ეს გველეზის ბუდე ყოფილიყო ბერლინში, რადგანაც ის შეიცავს მხოლოდ საფრანგეთის მტრებს და გერმანელების მომხრეთ. მიუხედავად ამისა ეს კამარლია ყოველთვის იყო კედორსეის (საგარეო სამინისტრო) მფარველობის ქვეშ და მას ქონდა ბრიანის პიროვნული სიმპატიები. საფრანგეთის მეგობარ-ქართველებისათვის ეს დამოკიდებულება თქვენი საგარეო სამინისტროსი იყო ნამდვილი სკანდალი».

ჩვენ არ ვიცით, არ გვაქვს სიტყვა, რომ ვაქბატო-

ნის N. de S-ის საქციელს ღირსეული სახელი ვუწოდოთ. ასეთი უმსგავსო მახეზღრობა შეუძლია მხოლოდ ადამიანს, რომელსაც თავისი ქვეყანა ეზიზღება და შეუზრუნავად ამოსვრის ტალახში მშობელი ერის ყოველი ღირსებას. განა ანტიმარქსისტობა და ანტიმენშევიკობა კმარა იმისთვის, რომ გამასხარავო მთელი ჩვენი განმთავისუფლებელი მოძრაობა? განა ოდნავად შეგნებელი ქართველი უცხოელს, ფრანგს ეტყვის ყოვლად საზიზღარ სიტყუეს. რომ საქართველოში. ან აქ ეროვნულ მთავრობაში, საელჩოში არის ვინმე არა გულითადი მეგობარი, არა მოყვარე საფრანგეთისა?

ამაოდ ცთილობს მოღალატე თავი შეაფაროს ინიციალებს. ქართველი ხალხი მის ვინაობას გამოარკვევს და საქვეყნოდ გააკრავს სამარცხვინო ბოძზე.



არჩევნები პრუსიაში

... გერმანიის პრეზიდენტის არჩევანში გონიერებამ სძლია უგუნურებას, წესრიგმა ანარქიას, ქვეყნის სვეტები საიმედო ხელში დაარჩა. მაგრამ ორი კვირის შემდეგ პრუსიის ლანდტაგის არჩევნები უნდა მომხდარიყო, გერმანიის ბელისთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პრუსია მთელი ფედერაციის ორმესამედს შეადგენს და ამავე დროს ორივეს ცენტრი ბერლინია—ადგილი გასაგები განდება ის წონა და გავლენა გერმანიის პოლიტიკაზე, რომელიც პრუსიას აქვს და სათანადო ფრანთაც გამოითქმის: «ვინც პრუსიას მართავს—მართავს მთელ სახელმწიფოსაც».

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში პრუსიას მართავდა ე. წ. ვეიმარის კოალიცია (ს. დემ., ცენტრი და დემოკრატები) და მასზე დაყრდნობილი ს. დ. ბრაუნის მთავრობა. ჯერ რეისტრატის და ბოლოს პრეზიდენტის არჩევნებზე გამორკვეული ძალთა განწყობილება. მეტი რომ არა ვთქვათ, ფრიად პრობლემატურათ ხდიდა არსებულ კოალიციის მიერ ძველი პოზიციების შენარჩუნების შესაძლებლობას; პიტლერი კარებზე იყო მომდგარი და მომავალ ტრიუმფით სტკებოდა. თუ პრეზიდენტის არჩევნებში გამოჩვენებას, ერთგვართ, თვით პინდენბურგის პირადმა ავტორიტეტმაც შეუწყო ხელი,—აქ ასეთი პირადი მომენტები გამორიცხული იყო და ანგარიშები თანასწორ იარაღით სწორდებოდა. საჭირო იყო ყველა დრეკილების დაქიშვა მდგომარეობის გადასარჩენათ და, შეიძლება ითქვას, ამ მხრით დღევანდელ ხელისუფლებასაც არაფერი მოუკლია. აკრძალულ იქნა პიტლერის «დამკვრელი გუნდები» მთელ გერმანიაში ყოველგვარ მასალათა ჩამორთმევით, რაიც თავის თავად სასტიკი ბრძოლის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ ამ გაზედული აქტის სადღისი ეფექტის იმედი ფრიად მცირე იყო, ის მერმისის ანგარიშებში უფრო შედიოდა. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ზომა იყო მთავრობის საარჩევნო წესების შეცვლა ვადამსრულებულ ძველი ლანდტაგის უკანასკნელი აქტით. თუ წინეთ პრემიერის ასარჩევათ

მეორე ტურში შედარებით უმრავლესობა კმაროდა, ამიერიდან პრემიერი უნდა ირჩეოდეს ლანდტაგის მხოლოდ აბსოლუტური უმრავლესობით. არჩევნების შედეგთა წინასწარი ვერაულობით ამას უნდა გავანდგინებთა გამარჯვებულ რეაქციონისტთა ახალი მთავრობის შედგენა და ამის შედეგათ ძალაუფლება არსებულ ხელისუფლებას უნდა შერჩნოდა...

ვეიმარის კოალიციამ, 67 ადგილთან ერთათ, დაჰკარგა ლანდტაგში უმრავლესობაც, მაგრამ კომუნისტების 57 ადგილის სახეში მიღებით იმ დასკვნას ვღებულობთ, რომ პრუსიის მოსახლეობამ ძველ კოალიციიდან ჩამორთმეული ნდობა არც პიტლერის ფაშისტურ რეაქციას ჩააბარა. პიტლერმა წინანდელი 7 ადგილი 162-ამდე გაადიდა, მაგრამ ძალაუფლების ასაღები უმრავლესობა მაინც ვერ შექმნა. მის მიერ მიღებული ძლიერება მხოლოდ უარყოფითია, მას შეუძლია დასცეს ბრაუნი და ესეც კომუნისტების წამოხმარებით (სულ 260 ხმა), მაგრამ მინისტრ-პრეზიდენტის არჩევის დროს ის გაერთიანებულ ოპოზიციის ამარა რჩება (203 ხმა), რადგან აქ უკვე კომუნისტების ხმები ვეიმარის კოალიციას ემატება მის წინააღმდეგ (219 ხმა). აბსოლუტური უმრავლესობა მიუღწეველია, ახალი მთავრობა ვერ დგება და სანამ ასეა,—კონსტიტუციის ძალით, ისევე ძველი უნდა დარჩეს. რეაქციას შეუძლია ერთ გამოსავალს მიმართოს: იმავე კომუნისტების დახმარებით შესწორებული რეგლამენტი გააუქმოს და ისევე შედარებითი უმრავლესობა აღადგინოს. მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილია. მართალია, ასეთი გზით შემდგარ მთავრობას იგივე გაერთიანებული ოპოზიცია კოალიციისა და კომუნისტების ხმებით მეორე დღესვე დასცემს, მაგრამ ის ხომ სამაგიეროს ვერ შეადგენს კომუნისტების გამოშლის გამო და აქ უკვე ფაშისტური მთავრობა, და არა დღევანდელი, რჩება თავის ადგილზე. მეტათ საეჭვოა, რომ კომუნისტებმა ასეთი დაუფასებელი სამსახური გაუწიონ ფაშინს, ასე აშკარათ, დღისით და მზისით, რა რიგ ამის დიდი სურვილიც ჰქონდეთ. მოსალოდნელია, რომ ვეიმარის კოალიციის მონაწილე ცენტრიც მალურადვე მემარჯვენეთ. ამის ცდის ნიშნები უკვე არსებობს. პიტლერსაც ასეთი კომბინაცია შეიძლება უფრო უღიმოდეს და მას ხელიც შეუწყოს იმ ერთი მოსახრებით, რომ მთავრობაში ფენის მოკიდების უმაღვე ცენტრისტები გარეთ მიაბრძანოს, და, მოსკოვის მაგალითით, მათ მემარცხენე ესერების ბედი გაუზიაროს. ჩვენ აკი აღვნიშნეთ ზემოთ, რომ მთელი მისი ტაქტიკა კომუნისტებიდანაა ნასესხები. ამ კომუნისტებსაც უჩვეულო და შეუფერებელი როლი მიანიჭა ამ არჩევნებმა. გარეგნულათ ეს როლი მეტათ წააგავს ლიბერალებისას—წინანდელ თემთა პალატაში. მაგრამ მაგარიც ისაა, რომ ლიბერალების სახით იქ მოქმედებდა სახელმწიფოებრივი, პოზიციურ მუშაობის უნარის მქონე პარტია, აქ კი ამის ნატამალსაც ადგილი არა აქვს და, სხვა სირთულეთა შორის, ამაშიცაა ახლად არჩეულ ლანდტაგის ტრადედია.

ასეა თუ ისე—მდგომარეობა იშვიათ გაურკვევლობითაა აღნიშნული. არავის შეუძლია იწინასწარ-



მეტყველოს, თუ როგორ გაიხსნება. ან გაიხსნება თუ არა საერთო პრუსიის არჩევნებით გასკვნილი კვანძი. ან ცენტრის ბლოკი რეაქციასან და მათ მიერ ძალა-უფლების ხელში აღება. რაც, თავისთავთ, საფედერაციო მთავრობაში სათანადო ცვლილებების მოხდენასაც წესრიგში აყენებს. ან და უნდობლობა გამოცხადებულ დღევანდელ ბრაუნის მთავრობის «საქმიან კაბინეტის» ფირმით თავის ადგილზე დარჩენა და მით ფაშიზმის გაცრუებული იმედები. ყველა სხვა კომბინაციები უნიადაგო და სერიოზულობას მოკლებულია, ორივე ესენი კი—კონსტიტუციიდან გამომდინარე და ნორმალურია. დაყაბულდება ქეზ-მორეული რეაქცია პირველის ჩაშლისას მეორის აუცილებლობას, თუ მახვილს მიმართავს კვანძის გასაპოხათ—ამის თავიდანვე განსჯერება შეუძლებელია. მხოლოდ ერთია ცხადი: არ არსებობს სამართალი, რომელიც ომს უეჭველათ დამწყებთა სასარგებლოთ სჭრიდეს, და მით უფრო ითქმება ეს სამოქალაქო ომზე, რასაც პიტლერი გერმანიას უმზადებს. ბერლინი, 26 აპრილი. კ.-ლი.

ქართველები პარიზში

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაცია, ხუთშაბათს, მაისის 26, საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, «აიანს ფრანსენ»-ის დარბაზში, ბულვარ დე რასპაი, № 101, საღამოს 8 და ნახევარ საათზე მართავს საჯარო სხდომას. ასოციაციის თავმჯდომარე ქურული წარმოსთქვამს სიტყვას 26 მაისის შესახებ. ბ-ნი შ. ამირეჯიბი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე—საქართველოს კულტურისათვის.

დაისტამბა და იყიდება

ხელფენებისა და შენობების კრებული:

„კ ა ვ კ ა ს ი ჲ ნ ი“
(წიგნი მეშვიდე)

შემდეგი შინაარსისა:

- ვ. ნოზაძე—პრ. აბულაძეს;
- ვიტრევი ყიფიანი—პრ. აბულაძეს;
- პრ. აბულაძის დაუბეჭდავი ლექსები;
- ვიტრევი ყიფიანი—თბილისი;
- ა. ქებური—ქართულ ანბანზე;
- ვიტრევი ქურული—«ნატურის თვალის»;
- ვასტანკ ოდომელი—მეორე მხარე;
- კ. თუთუნოვი—ბესიკი და მისი ანა;
- მის. წულუკიძე—ახალი გერმანული ლირიკა;
- ისახარ—დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში;
- დ. საღინაშვილი—სპარსეთის რევოლუცია;
- ვ. გუმბაზი—ფულ-პოლიტიკური სტუდიისათ. ქართული წიგნის მოყვარულთ.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

V. NOZADZE

39, B-rd Jann Jaures 39.

Billancourt.

France.

ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის
ა ნ ვ ა რ ი უ მ ე ბ ი

(15 მარტიდან 15 აპრილამდე)

I. შემოწირულობათა სია:

La Société des Amis de La Géorgie 1.000 ფრ., საქართველოს მთავრობა 500 ფრ., ქართველი მხედრები პოლონეთში: ლეიტენანტები: თიბაძე, ხელაძე, ქავთარაძე, მახარაძე, ლომიძე, ხუტაძე, მრეწველი და მაიორი თევზაძე 430 ფრ. 56 სან.; abbé Ch. Quénet 100 ფრ., რაზმის უფროსი (პოლკოვნიკი) კიკვიძე 80 ფრ., მაიორი ქუთათელაძე 80 ფრ., საქ. ელჩი ბ. ა. ჩხენკელი 50, ბ. ნ. ცინცაძე 50, ბ. დაქ. ა. და რ. ზურაბიშვილები 50, M. Horace Guicciardi 30, M lle B. Musso 30, ოც-ოცი ფრ.: ქ-ნი ე. აფხაზისა, ბ.ბ. კ. კანდელაკი, ივ. ზურაბიშვილი, M-me Musso 20; M-me Berthe Laborie 15, ათ-ათი ფრ.: ქ-ნი ე. დეკანოზიშვილისა, ბ.ბ. შ. აბდუშელი, აკ. ასათიანი, M-elle Paulete Lesacq 10, Jean Vernholes 10, M. Luek 10, Marcel Huan 5, ანონიმი 5.

სულ 2.565 ფ. 56 ს.

15 მარტს კასაში გვქონდა 599 ფ. 50 ს.

15 მარტიდან ხაზინდარის განკარგულებაში იყო სულ 3.165 ფ. 06 ს.

II. ხარჯები:

სადილების	1.975 ფ. 50 ს.
ფილანტ. სახ. სადილების ტიკეტები	200 00
სანოვანის ბონები	50 00
დახმარება ფულის სახით	1.320 00
სამდივნო ხარჯები	9 50

სულ 3.555 ფ. 00 ს.

კასის მდგომარეობა 16 აპრ., დეფიციტი 389 ფ. 94 ს.

III. კომიტეტის საქმიანობა.

62 უმუშევარს მიეცა ამ თვის განმავლობაში 845 სადილი. 7 უმუშევარი მოწყობილია სამუშაოზე. 21 უმუშევარს მიეცა დახმარება ფულით და სანოვანის ბონების სახით.

თავმჯდომარის ქ-ნ ბ. ჰელმის და ხაზინდარის ბ-ნ პ. თუმანიშვილის დავალებით, მდივანი ლევან ზურაბიშვილი.

პარიზის ქართულ ეკლესიისათვის შემოსწორებს:

ექ. თაყაიშვილი 10 ფრანკი, აკ. ასათიანი 10 ფრ., მარ. კემულარია 10, ვალდია გოგუაძე 20, სვიმონ წერეთელი 5, ვლ. ახმეტელი 10, ს. ფ. 10, კახელაძე 5, ოლია ერადისა 10, ზ. ჯორბენაძე 5, ერ. ებრაძე 5, არ. ურატაძისა 10, თ. ერისთავი 15, ე. გ. 20, ვ. ერისთავი 10, თ. კ. 10, ნ. ჯ. 20, ლ. ა. 30, ნინო რუსია 5, ვალენტინე კედია 10, მარინოვიჩი 100, ვ. ვაჩნაძე 20, ო. ლაკარტე 50, ჩერქეზიშვილი 30, კვინიტაძისა 10, ო. გეგუქორისა 10, ლევან მამულაიშვილი 50, ალ. ასათიანი 15, ბ. გვარჯალაძისა 10, ნ. გვაზავასი 10, ს. ბაგრატიონისა 10, სიამაშვილი 20, ნასყიდაშვილი 10.